

ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მნიშვნელობა და  
თავისებურებები

თემის ავტორი: სოფიკო ზარანდია

თემის ხელმძღვანელი: ბესარიონ ზოიძე, პროფესორი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე

თბილისი

2019

## აბრევიატურები:

ა.შ. - ასე შემდეგ

გამომც. - გამომცემლობა

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ევრეთ წოდებული

თბ. - თბილისი

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

ჟურნ. - ჟურნალი

რედ. - რედაქტორი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

შეად. - შეადარეთ

COB - Council of Bureaux

FIDIC - The International Federation of Consulting Engineers

GIZ – Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit

VVG. - Versicherungsvertragsgesetz

# სარჩევი

|  |    |
|--|----|
| შესავალი.....  | 4  |
| 1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წარმოშობა და ისტორიული განვითარება.....                                       | 6  |
| 2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი .....  | 8  |
| 2.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნება.....  | 8  |
| 2.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნება და სამართლებრივი ბუნება 9   |    |
| 3. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ადგილი სსკ-ში.....  | 12 |
| 3.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, როგორც ზიანის დაზღვევის სახე .....  | 12 |
| 3.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებასთან ..... | 14 |
| 4. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მახასიათებლები .....  | 15 |
| 4.1. პასუხისმგებლობის დაზღვევის სუბიექტები .....   | 16 |
| 4.2. პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტები.....   | 16 |
| 4.3. სადაზღვევო ღირებულებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა .....                                      | 17 |
| 4.4. სუბროგაციის საკითხი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში .....  | 19 |
| 5. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების საფუძვლები .....  | 21 |
| 5.1. წინასწარ განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომა .....   | 21 |
| 5.2. დამზღვევის სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრა .....                        | 22 |
| 6. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფორმები .....   | 25 |
| 6.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა .....  | 26 |
| 6.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა.....   | 27 |
| 7. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის უპირატესი მიზნის განსაზღვრა სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს.....  | 30 |
| 7.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის მიზანი.....   | 30 |
| 7.2. მესამე პირთა ინტერესის დაცვა, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მიზანი .....               | 31 |
| 8. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეები.....  | 33 |
| 8.1. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.....   | 35 |
| 8.1.1. ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.....   | 37 |

|        |   |    |
|--------|---|----|
| 8.1.2. | ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.....  | 38 |
| 8.1.3. | სამედიცინო პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა<br>.....   | 39 |
| 8.2.   | ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის<br>დაზღვევა .....   | 41 |
| 8.2.1. | სატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობა. ბრალის<br>გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპი .....   | 41 |
| 8.2.2. | სატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობის<br>დაზღვევა.....   | 44 |
| 8.2.3. | ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო<br>პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის<br>შესახებ .....              | 48 |
| 8.3.   | ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.....  | 50 |
| 9.     | სახელმწიფოს როლი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში .....   | 52 |
| 10.    | პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღების მიზანშეწონილობის<br>განსაზღვრა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დირექტივის შესაბამისად ..... | 54 |
|        | დასკვნა.....  | 56 |
|        | ბიბლიოგრაფია .....  | 59 |

## შესავალი

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ზოგადად სამოქალაქო სამართლისა და დაზღვევის სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს. საზოგადოების განვითარებასა და სოციუმის წევრების სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებასთან ერთად დღითიდღე იზრდება საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული ყოველგვარი ქმედებისათვის. ზოგადად, ტერმინი „პასუხისმგებლობა“ კანონით გათვალისწინებული მოვალეობაა, რომელიც გულისხმობს პასუხისგებას საკუთარ ქმედებაზე ან უმოქმედობაზე. პასუხისმგებლობა შეიძლება აღებულ იქნეს ნებაყოფლობით ან ის პირს ნორმატიული აქტების საფუძველზე დაეკისროს<sup>1</sup>.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში დგება იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხისმგებელი სუბიექტი თავისი ქმედებით სხვა პირისადმი ზიანის მიყენებლად გვევლინება. ასეთი შემთხვევების რაოდენობის ზრდა სამოქალაქო ურთიერთობათა მრავალფეროვნების ზრდის პირდაპირპროპორციულია. „რამდენადაც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იზრდება უარყოფითი გარემოებების დადგომის საშიშროება, იმდენად იზრდება დაზღვევის მოთხოვნილება“.<sup>2</sup> ზიანის ანაზღაურებაზე ვალებული სუბიექტები „სულ უფრო მეტ პასუხს აგებენ მცირე მიზეზის გამოც კი“<sup>3</sup>, რაც განაპირობებს იმას, რომ დაზღვევის ინსტიტუტი პასუხისმგებლობის სამართლის განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.<sup>4</sup> დაზღვევას ექვემდებარება არა მხოლოდ გარე ძალების მიერ მიყენებული ზიანი, არამედ ის ზიანიც, რომელიც შესაძლოა ერთმა პირმა თავისი ქმედებით მიაყენოს სხვა პირის ქონებას, სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

დღეისათვის ქართულ სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანია სთავაზობს პოტენციურ დამზღვევებს თავიანთი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას, მიუხედავად ამისა, დაზღვევის სხვა სახეებისგან განსხვავებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის თაობაზე სადაზღვევო კომპანიებს ნაკლები პირი მიმართავს. ეს

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ლექსიკონი [შეადგინა ფრიდონ საყვარელიძემ ; რედ.: ანა ჭაბაშვილი] - თბ. : დასი, 1999, 128

<sup>2</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 3.

<sup>3</sup> ბონარი უ., სადაზღვევო სამართლის საწყისები, ნ. კინწურაშვილის თარგმანი, თბ., 2003, 11.

<sup>4</sup> იქვე.

შეიძლება განპირობებული იყოს როგორც საზოგადოების არაინფორმირებულობით დაზღვევის ამგვარი სახის არსებობასთან დაკავშირებით, ასევე პოტენციური დამზღვევების ერთგვარი თვითიმედოვნებით, რომ ისინი არ გახდებიან მესამე პირთათვის რაიმე სახის ზიანის გამომწვევები. უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევის ეს სახე ქართული სადაზღვევო სამართლისთვის შედარებით ახალი ინსტიტუტია და შესაბამისად, უკეთ შესწავლას საჭიროებს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მნიშვნელობისა და მისი, როგორც სადაზღვევო ურთიერთობის თავისებურებების შესწავლის მცდელობას. მასში განხილული იქნება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარების მოკლე ისტორია, მისი კლასიფიკაციის სისტემა, ფორმები და სახეები, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების წინაპირობები. ცალკე თავი დაეთმობა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო და ნებაყოფლობით დაზღვევას, მათ შედარებით ანალიზს, მესამე პირების ინტერესების როლს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი დაზღვევის პირობებში (პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის არსის კვლევისას ხშირია განსხვავებული მოსაზრება მის მიზანთან დაკავშირებით. ხშირად მას მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ გარიგებად განიხილავენ, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს ამგვარი ხელშეკრულებით მესამე პირის (იმ პირის, რომელსაც მიაღება ზიანი) ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებით<sup>5</sup>. აღნიშნული შესაძლოა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მნიშვნელობის კვლევის საკვანძო საკითხად მივიჩნიოთ. შესაბამისად, იგი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს).

ნაშრომში, საკითხის ბოლოდროინდელი აქტუალურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტზე. განხილული იქნება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ამ სახის მნიშვნელობა და თავისებურებები საკითხის მომწესრიგებელი ან უკვე ძალადაკარგული აქტებისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებების შესაბამისად მომზადებული კანონპროექტის საფუძველზე.

ნაშრომში ასევე განხილული იქნება სავალდებულო დაზღვევის საჯაროსამართლებრივი მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებით სახელმწიფო

<sup>5</sup> ირემამვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 839-ე მუხლის კომენტარი, 2. ხელმისაწვდომია: < [www.gccc.ge](http://www.gccc.ge) > [10.07.2019]

კონტროლის მექანიზმები. დასასრულს, კვლევის შედეგები ჩამოყალიბებული იქნება დასკვნის სახით.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგადმეცნიერული - ისტორიული, აგრეთვე, სპეციალური - ნორმატიული, დოგმატური და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

## **1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წარმოშობა და ისტორიული განვითარება**

ისტორიული წყაროები არ შეიცავენ ზუსტ ინფორმაციას დაზღვევის ინსტიტუტის წარმოშობის შესახებ. თუმცა, ცნობილია, რომ ადამიანმა უძველესი დროიდანვე შეიძინო გარემო ფაქტორების მავნე ზემოქმედების ძალა, თანდათან გააცნობიერა საკუთარი დამოკიდებულება ბუნებრივი ხდომილებების მიმართ და გადაწყვიტა სხვა ადამიანებთან ძალებისა და საშუალებების გაერთიანებით, ურთიერთდახმარების დაზღვევის პრინციპზე დაყრდნობით დაეცვა თავი შესაძლო ზიანისგან.<sup>6</sup> ყველა ასეთ შემთხვევაში დაზღვევის უმთავრეს მიზანს status quo-ს აღდგენა წარმოადგენდა და ყველა ამგვარი შეთანხმება აუცილებლად შეიცავდა მითითებას რისკების განაწილების თაობაზე.<sup>7</sup> დაზღვევის მსგავსი ინსტიტუტები, შეიძლება ითქვას, უხსოვარ დროს ჩაისახა, საბოლოოდ კი, დაზღვევისათვის დამახასიათებელი დღევანდელი ფორმით შუა საუკუნეებში განვითარდა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ჩამოყალიბებას საკმაოდ უსწრებდა წინ ზოგადად პასუხისმგებლობის სამართლის ჩამოყალიბება. თუ უძველესი ადამიანი მოსავლის საერთო მარაგის შემქნის აუცილებლობამდე მოსავლის განადგურების შემთხვევებმა მიიყვანა, ახალი ერის ადამიანი პასუხისმგებლობის დაზღვევის აუცილებლობის საკითხს შესაძლოა მხოლოდ მას შემდეგ შეეწუხებინა, რაც, მის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი უკვე განვითარებული იყო და ერთი მხრივ, სამოქალაქო პასუხისმგებლობა მისთვის ასანაზღაურებლად მძიმე ტვირთად იქცა, მეორე მხრივ კი, დაზარალებულის ინტერესის დაცვამაც შეიძინა გარკვეული მნიშვნელობა.

<sup>6</sup> ვერულავა თ., დაზღვევის ისტორია, თბ., 2003, 5.

<sup>7</sup> კაპანაძე თ., სადაზღვევო ურთიერთობის ალტერნატიული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები N6, თბ., 2016, 6.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ჩანასახოვან ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ ძველ რომში ჩამოყალიბებული პროფესიული ურთიერთდახმარების კოლეგიები,<sup>8</sup> რომლებიც ითვალისწინებდა პროფესიული პასუხისმგებლობის განაწილებას და კოლეგების მიერ მათივე პროფესიის წარმომადგენლის დაცვის მცდელობას. დღეს არსებული ფორმით სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა საფრანგეთში 1825 წელს წარმოიშვა, მის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მენარმეებზე მათ სანარმოში მომხდარი შემთხვევების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებამ. საფრანგეთიდან დაზღვევის ეს სახე ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც გავრცელდა.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის საერთაშორისო სისტემის „მწვანე ბარათის“ შემოღება, რომელიც ავტომობილების მზღვეველთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ლონდონში შექმნილი ბიუროს საბჭოს (COB) მიერ 1951 წელს იქნა შემოღებული და ამ დროიდან დღემდე ორმოცდაათამდე ევროპულ და არაევროპულ სახელმწიფოს აერთიანებს.<sup>9</sup>

ხოლო, რაც შეეხება ქართულ სადაზღვევო სამართალს, მისთვის, როგორც პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოსთვის, პასუხისმგებლობის დაზღვევა მეოცე საუკუნის ბოლო წლების მონაპოვარია. დაზღვევის ამ სახეს არ იცნობდა საბჭოთა სამართალი, რაც ადასტურებს მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევა, ისევე როგორც ზიანის დაზღვევის ინსტიტუტი კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად განვითარდა.<sup>10</sup>

ქართულ საკანონმდებლო სივრცეში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნება პირველად 1997 წლის 2 მაისის „დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლით განისაზღვრა. დაზღვევის ამ სახის საკანონმდებლო რეგულირების შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა 1997 წლის 27 ივნისის კანონი „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, მოგვიანებით კი, საქართველოს

<sup>8</sup> ვერულავა თ., დაზღვევის ისტორია, თბ., 2003, 7.

<sup>9</sup> საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის საინფორმაციო ფურცელი, ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/70764/avtomobilis-dazRveva](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/70764/avtomobilis-dazRveva)>. [09.07.2019]

<sup>10</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 25.



სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ (1997 წლის 25 ნოემბერი) სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევას სსკ-ის 839-843-ე მუხლები მიეძღვნა.<sup>11</sup>

## 2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი

### 2.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნება

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნების განსაზღვრამდე, აუცილებელია უშუალოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნების გარკვევა. როგორც შესავალშივე ითქვა, სამოქალაქო პასუხისმგებლობა პირის მიერ საკუთარ მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე პასუხის გებას გულისხმობს, რაც შეიძლება მას დაეკისროს როგორც კანონის ძალით, ისე ნებაყოფლობით. წარმოუდგენელია საზოგადოებაში ცხოვრება მის წევრებთან ვალდებულებითი ურთიერთობების დამყარების გარეშე. „ვალდებულება სამართლებრივი კავშირია, რომელიც ბოჭავს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს... კანონმდებლობა ვალდებულებას განსაზღვრავს, როგორც პირთა შორის ურთიერთობის სამართლებრივ ფორმას, რომელიც ადგენს მოვალისათვის სპეციალურ ქცევის წესს კრედიტორის ინტერესების მიხედვით, კერძოდ, შეასრულოს მოქმედება ან თავი შეიკავოს მისაგან“.<sup>12</sup>

ზოგიერთი მოსაზრებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა გვევლინება ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დროს სანქციის სახით და იგი არ გულისხმობს ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის დაკისრებას, რაც მას ალბულები ვალდებულების შესაბამისად ისედაც ევალდებოდა (შესრულების ვალდებულება), არამედ, იგი მოიცავს ვალდებულების დამრღვევი პირისათვის ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე დამატებით მოქმედებას, სანქციას<sup>13</sup>. სამოქალაქო პასუხისმგებლობა იმგვარ ქონებრივ სანქციებს წარმოადგენს, რომელთა მიმართაც ხორციელდება სამართალდამრღვევზე იძულებითი ზეგავლენა მისი ქონებით დაზარალებული პირისთვის ზიანის ასანაზღაურებლად<sup>14</sup>, ამგვარი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს დაკისრების ან სხვა ფორმით<sup>15</sup>. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი გამოხატულებაა სამართალდამრღვევის მიმართ

<sup>11</sup> ცისკაძე მ., ავტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, ურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 1-2 კვ. 1999, გვ.66

<sup>12</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ურნალი N1, 2009, 79.

<sup>13</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999, 66.

<sup>14</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ურნალი სამართალი, N10,11,12, 2000, 85-86.

<sup>15</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999, 64.

განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომა, ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით.<sup>16</sup>

## 2.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნება და სამართლებრივი ბუნება

სამოქალაქო პასუხისმგებლობა შესაძლოა დაზღვევის ობიექტად წარმოგვიდგეს.<sup>17</sup> იგი იურიდიული პასუხისმგებლობის სახეებიდან ერთადერთია, რომელიც დაზღვევას ექვემდებარება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდა დაუშვებელია სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა. მაგ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან თუნდაც ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა სამართალდამრღვევის პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე წარმოუდგენელიც კია და მისი ნებისმიერი ფორმით არსებობა აუცილებლად წინააღმდეგობაში მოვიდოდა საჯარო ინტერესთან და მართლწესრიგთან.<sup>18</sup> „პასუხისმგებლობა დაზღვეულია ყველა კერძო და პროფესიულ სფეროში, როგორც მუდმივი შეხსენება ჩვენი საქციელისთვის, და ამავე დროს ზიანის ანაზღაურებისა ან კომპენსაციის მოთხოვნებისგან ჩვენი აქტივების დასაცავად.“<sup>19</sup>

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნების განმარტება შეუძლებელია მისი მიზნის განსაზღვრის გარეშე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნების პირდაპირ განმარტებას 839-ე მუხლით გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ მუხლის სათაურია „ცნება“, იგი უფრო მეტად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ძირითადი მიზნის განმსაზღვრელად გვევლინება. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია „დამზღვევი გაათავისუფლოს იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო ეკისრება.“<sup>20</sup> სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნებას განსაზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ გერმანიის კანონის მე-100 პარაგრაფი,

<sup>16</sup> ზოიძე ბ., ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის., თბ., 1989, 11.

<sup>17</sup> Hofmann E. Privat Versicherungsrecht, Verlag C.H.beck, 3. Auflage, 1998, 224.

<sup>18</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 12-13.

<sup>19</sup> Beier L., Die PrivatHaftpflichtversicherung: „Pflicht“ oder „Freiwilligkeit“? 2014, 2.

ხელმისაწვდომია: < [https://monami.hs-mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA\\_18.07.2014.pdf](https://monami.hs-mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA_18.07.2014.pdf) > [01.07.2019]

<sup>20</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 839-ე მუხლის კომენტარი, 1, ხელმისაწვდომია: < [www.gccc.ge](http://www.gccc.ge) > . [10.07.2019]

რომლის თანახმადაც, „პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია დაზღვევის პერიოდში მომხდარი ფაქტისთვის პოლისის მფლობელს (დამზღვევეს) აუნაზღაუროს მესამე მხარის მიერ მოთხოვნილი ზიანი, რომლის გადახდაც დამზღვევეს მისთვის ევალებოდა.“<sup>21</sup>

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (Haftpflichtversicherung) ზოგჯერ მოხსენიებულია ტერმინით „მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის დაზღვევა“ (Drittschadensversicherung) და აღნიშნულია, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევა იცავს დამზღვევის ქონებას (აქტივებს), რომლებთა გაღებას შეიძლება საჭირო გახდეს ზიანის მიყენების დროს შემხვედრი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, [პასუხისმგებლობის] დაზღვევის ხელშეკრულებით გარანტირებულია მზღვეველის მიერ დამზღვევის გათავისუფლება ზიანის ანაზღაურებისაგან.<sup>22</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო ურთიერთობათა მრავალფეროვნება მის მონაწილეებს ყოველთვის აყენებს მეორე მხარის ან და მესამე პირების მიმართ გაუფრთხილებელი მოქმედებით გამონვეული ზიანის მიყენების რისკის წინაშე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად შეუძლებელია დამზღვევემა თავი დაიზღვიოს ნებისმიერი შესაძლო რისკისაგან,<sup>23</sup> (ასეთი შესაძლებლობის დაშვება გარდა იმისა, რომ მზღვეველს მნიშვნელოვნად შეზღუდავდა, ასევე გამოიწვევდა სადაზღვევო პრემიების არაგონივრულ ზრდას)<sup>24</sup> თუმცა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტი დამზღვევეს აძლევს საშუალებას თავი დაიზღვიოს მის მიერ გამონვეული კონკრეტული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ამგვარი ხელშეკრულების დადება, ბუნებრივია, პოტენციური დაზარალებული მესამე პირის მონაწილეობის გარეშე, მისი ნებისგან დამოუკიდებლად ხდება. თუ საქმე გავქვს პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევასთან, აქ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ დამზღვევი ზრუნავს ზიანის მიყენების შემთხვევაში საკუთარი ფინანსური რესურსის დაზოგვაზე და არა მესამე პირთა შესაძლებლობაზე, მარტივად და გარანტირებულად მიიღონ ზიანის ანაზღაურება, ეს უკანასკნელი კი თავისთავად გამომდინარეობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებიდან. პასუხისმგებლობის დაზღვევისას მიიღწევა როგორც დამზღვევის, ისე მესამე პირთა ინტერესების დაცვის მიზანი, კერძოდ, დამზღვევი

<sup>21</sup> Gesetz über den Versicherungsvertrag (Versicherungsvertragsgesetz - VVG) &100.

<sup>22</sup> Müller A., Regress im Schadensausgleichsrecht unter besonderer Berücksichtigung des Privatversicherers, Dissertation, D-Druck-Spescha, 2006, 22.

<sup>23</sup> Rieck c., Haftpflichtversicherung, 4., ხელმისაწვდომია:

<<https://ha159.domainkunden.de/VMV/Info/Haftpflicht-Info.pdf> > [03.07.2019]

<sup>24</sup> იქვე.

უზრუნველყოფილია მისი ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის მის ნაცვლად ანაზღაურებით, ხოლო დაზარალებული მესამე პირი მისთვის მიყენებული ზიანის გარანტირებულად ანაზღაურებით<sup>25</sup>.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, დაზღვევის სხვა სახეების მსგავსად ორმხრივ, სასყიდლიან და კონსესუალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს. ამგვარი ხელშეკრულების სასყიდლიანობა გამოიხატება დამზღვევის ვალდებულებაში, გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო შესატანი<sup>26</sup>, რაც შემდგომში მზღვეველის მიერ ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება ისეთი სახის ხელშეკრულებაა, რომლის თანახმადაც ერთი მხარე, რისკის ადეკვატური თანხის სანაცვლოდ, დაცული ხდება ყოველგვარი ზიანის დაკისრებისაგან, რომელიც შეიძლება დადგეს წინასწარ განსაზღვრული გარემოებების შედეგად.<sup>27</sup> რაც შეეხება მის კონსესუალურობას, ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობას საკმაოდ ხშირად ვაწყდებით. კონსესუალურია ხელშეკრულება, „რომელიც დადებულად ითვლება მხარეთა შორის დადგენილი ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან“<sup>28</sup>, ხოლო რეალურია ხელშეკრულება რომლის დადებულად მიჩნევისათვის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება არ არის საკმარისი და აუცილებელია ერთი მხარის მიერ მეორისთვის ხელშეკრულების საგნის ფაქტობრივად გადაცემა.<sup>29</sup> ქართული სასამართლო პრაქტიკა დაზღვევის ხელშეკრულებას რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას მიაკუთვნებს და ამბობს, რომ მისი ნამდვილობისთვის ხელშეკრულების დადებასთან ერთად აუცილებელია დამზღვევის მიერ პრემიის გადახდა<sup>30</sup>, საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში სასამართლო არ მიჰნავს ერთმანეთისგან დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის ეტაპებს<sup>31</sup>, ის რასაც სასამართლო პრაქტიკასა თუ იურიდიულ ლიტერატურაში დაზღვევის ხელშეკრულების რეალურობას უწოდებენ, სხვა არაფერია თუ არა მზღვეველის

<sup>25</sup> ცისკაძე მ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, გამომც. სამართალი, თბ., 2001, 162.

<sup>26</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 48

<sup>27</sup> Lowry J., Rawlings P., Insurance law, Cases and materials, Oxford – Portland Oregon, 2004, 7

<sup>28</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 29.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის #ას-663-624-2011 განჩინება

<sup>31</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 21-22.

ვალდებულებების წარმოშობის დასაწყისი, ხოლო თავად დაზღვევის ხელშეკრულება მანამდეც არსებობს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაც დაზღვევის ხელშეკრულებისადმი მოქმედ ამ ზოგად წესს სრულად პასუხობს და იგი ფორმალურად ძალაში შედის მზღვეველის მიერ დამზღვევის შეთავაზების მიღებისას, ხოლო სადაზღვევო დაცვა იწყება პირველი პრემიის გადახდიდან.<sup>32</sup>

### **3. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ადგილი სსკ-ში**

#### **3.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, როგორც ზიანის დაზღვევის სახე**

სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. „ზიანის ანაზღაურების სამართალი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე“<sup>33</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების დარღვევა და დელიქტური ზიანის მიყენება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების თანახმად მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, ისევ და ისევ სამოქალაქო სამართლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მათი სრული აკრძალვა. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კერძოსამართლებრივ ნორმებს შეუძლიათ მხოლოდ მოსალოდნელი შედეგების შესახებ გააფრთხილონ მხარეები, მათი ძირითადი დანიშნულება კი საბოლოოდ, სამართალურთიერთობის მონაწილეთა ქმედების შედეგად დარღვეულ ინტერესთა ბალანსში წონასწორობის აღდგენაა. ამავე მიზანს ემსახურება სსკ-ით განსაზღვრული ზიანის დაზღვევის ინსტიტუტი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაზღვევის სახეების კლასიფიკირებას დაზღვევის ობიექტის მიხედვით ახდენს და ამ თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავებს ზიანის დაზღვევას, უბედური შემთხვევის დაზღვევასა და სიცოცხლის დაზღვევას, ხოლო ზიანის დაზღვევის თავში აერთიანებს ქონების დაზღვევას, სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის დაზღვევასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას.<sup>34</sup> სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-4 მუხლში დაზღვევის ობიექტების ჩამოთვლისას მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებულ დაზღვევას (ქონების დაზღვევას) და

<sup>32</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 48-49

<sup>33</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010. 194.

<sup>34</sup> ირემიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 820-ე მუხლის კომენტარი, 1, ხელმისაწვდომია: <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> [10.07.2019]

დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დაზღვევას (პასუხისმგებლობის დაზღვევას). სამოქალაქო პასუხისმგებლობა გერმანულ სამოქალაქო სამართალშიც ზიანის დაზღვევის სახედაა მიჩნეული.<sup>35</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებში, მათ შორის კი სსკ-ში, პასუხისმგებლობის დაზღვევის ადგილის განსაზღვრის პრინციპთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ „მნიშვნელოვანია დაზღვევის ობიექტი და არა ხელყოფის ობიექტი. დაზღვევის ობიექტია ქონებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო სადაზღვევო შემთხვევის ხელყოფის ობიექტი შეიძლება იყოს პიროვნების სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება. ამიტომაც, რომ ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს ქონების დაზღვევის ერთ-ერთ სახეს.“<sup>36</sup> თუ მსჯელობის ამ ხაზს განვაფიქრებთ, გამოდის, რომ პირდაპირი განსაზღვრებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში დაზღვევის ობიექტს დამზღვევის პასუხისმგებლობა წარმოადგენს, თუმცა, დამზღვევის პასუხისმგებლობა განპირობებულია მესამე პირისთვის მიყენებული ზიანით, მაშასადამე, დაზღვევის ობიექტად არაპირდაპირ მესამე პირისთვის მიყენებული ზიანიც გვევლინება, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მოქცევა ზიანის დაზღვევის მომწესრიგებელ თავში ალოგიკური არ არის. აღნიშნული საკითხი აქტუალურია სხვა მეცნიერებისთვისაც, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ ვინაიდან ზიანის დაზღვევის თავში მოქცეული დაზღვევის სახეები სხვადასხვა ობიექტებს აწესრიგებენ, სასურველი იქნებოდა მათი სისტემურად ცალ-ცალკე მოწესრიგება, ხოლო მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების ასახვა დაზღვევის სამართლის ზოგად დებულებებში.<sup>37</sup> მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის დღეს არსებული სისტემური მოწესრიგება პრაქტიკისთვის სირთულეებს და გაუგებრობებს არ ქმნის, ურიგო არ იქნებოდა მისი უფრო მეტად დახვეწა შემდგომი გართულებების თავიდან ასარიდებლად.

<sup>35</sup>იხ. Köbler, Juristisches Wörterbuch, 2004/14, 240. ხელმისაწვდომია: <<http://www.agmiw.org/wp-content/uploads/2016/05/K%C3%B6bler-Juristisches-W%C3%B6rterbuch-.Auflage.pdf>> [30.06.2019]

<sup>36</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ურნალი სამართალი, N10,11,12, 2000, 62.

<sup>37</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები 820-ე მუხლის კომენტარი, 1, ხელმისაწვდომია: <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)>, [10.07.2019].



### 3.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებასთან

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებას ხშირად განიხილავენ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებად. დაზღვევის ამ ორ სახეს შორის არსებული მსგავსება ხშირ შემთხვევაში ართულებს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხს. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში პირდაპირ მიუთითებენ, რომ “სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ნაირსახეობას წარმოადგენს.”<sup>38</sup> ძირითადი მსგავსება, რომელიც დაზღვევის ამ ორ სახეს შორის არსებობს, სადაზღვევო საზღაურის მესამე პირისთვის გაცემას უკავშირდება.<sup>39</sup>

სამართლის დოქტრინაში განასხვავებენ პირველი პირისა (First party-insurance) და მესამე პირის სასარგებლოდ (Third party-insurance) დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებებს. პირველი პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ასეთ დროს ზიანი პირდაპირ დამზღვევს ადგება და შესაბამისად, ანაზღაურებაც მის სასარგებლოდ ხდება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით კი დაცვის ობიექტად მესამე პირის ინტერესი განისაზღვრება.<sup>40</sup> ფართო გაგებით პასუხისმგებლობის დაზღვევა სწორედ Third party-insurance ტიპის დაზღვევას განეკუთვნება, ვინაიდან პირდაპირ ზიანს მესამე პირი განიცდის, ხოლო დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ზიანი არაპირდაპირ ადგება.<sup>41</sup>

მესამე პირების სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების დროს უმთავრესია, რომ მხარეები კონტრაქტის დროს მესამე პირების ინტერესების სასარგებლოდ.<sup>42</sup> ასეთ დროს დამზღვევს ერთადერთი მიზანი აქვს, მზღვეველთან დადებული ხელშეკრულებით დაიცვას დაზღვეული მესამე პირის ინტერესები.

<sup>38</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 მარტის ას-134-134-2018 განჩინება. ხელმისაწვდომია < [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge) >

<sup>39</sup> ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 162.

<sup>40</sup> Jerry R., Richmond D., Understanding Insurance Law, Fourth Edition, LexisNexis, 2007, 43-44

<sup>41</sup> ირემავილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 46-47.

<sup>42</sup> ირემავილი ქ., ჯანმრთელობის დაზღვევა, როგორც დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, შრომის სამართალი I (სტატიათა კრებული), 2011, 164.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა იცის, რომ ზიანის მიმყენებელს თავისი პასუხისმგებლობა დაზღვეული აქვს, იგი უფლებამოსილია თავად მიმართოს მზღვეველს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.<sup>43</sup> აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია ქართული სასამართლო პრაქტიკითაც. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ განჩინებაში პირდაპირ უთითებს, რომ „რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ დაზარალებული (მესამე პირი) არ აყენებს მოთხოვნას, ეს საკითხი არ შეიძლება მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 840-ე მუხლი ადგენს ზიანის უშუალოდ დაზარალებულისათვის ანაზღაურების წესს მისი მოთხოვნის არსებობის პირობებში, თუმცა, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის მარეგულირებელი ნორმები (სკ-ის 838-ე (1) მუხლი) არ გამოორიქხავს დაზღვევის უფლებას, თავად წარუდგინოს მოთხოვნა მზღვეველს“<sup>44</sup>.

#### 4. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მახასიათებლები

იმისათვის, რათა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მკვეთრად გაიმიჯნოს დაზღვევის სხვა სახეებისგან და არ მოხდეს მათი ერთმანეთში აღრევა, აუცილებელია მისი მახასიათებლების ზუსტი განსაზღვრა. ზემოთმოყვანილ მსჯელობაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გამოიკვეთა, თუმცა ეს არ ამოწურავს დაზღვევის აღნიშნული სახის თავისებურებებს. პასუხისმგებლობის დაზღვევას დაზღვევის სახვა სახეებისგან მრავალი თავისებურება გამოარჩევს, რაც უმეტესწილად განპირობებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში სადაზღვევო რისკის რეალიზაცია დაზღვევის გავლენის სფეროშია მოქცეული.<sup>45</sup> თუ სხვა შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევად გარემო ფაქტორებისგან გამოწვეული ხდომილობა განიხილება, პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს ზიანის გამომწვევი თავად დაზღვევის ქმედებაა<sup>46</sup>. გარემო ფაქტორებიდან გამომწვეული სადაზღვევო რისკის შემცირების შესაძლებლობა ბევრად ნაკლებია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს დაზღვევის მიერ პასუხისმგებლობის დადგომის რისკის შემცირების შესაძლებლობაზე.

<sup>43</sup> ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 163.

<sup>44</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 მარტის ას-134-134-2018 განჩინება.

<sup>45</sup> ირემიშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანათვარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 115.

<sup>46</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 10.



#### 4.1. პასუხისმგებლობის დაზღვევის სუბიექტები

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თავისებურებების განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სუბიექტებისთვის დამახასიათებელი თავისებურების განსაზღვრა. ზიანის დაზღვევისგან განსხვავებით, სადაც შეიძლება მონაწილეობდეს ოთხი მხარე, მზღვეველი, დამზღვევე, დაზღვეული პირი და მოსარგებლე, პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში მუდმივად ორი მხარე (დამზღვევე და მზღვეველი) გვყავს. მართალია დაზარალებული მესამე პირი დაზღვევის ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენს, თუმცა ამგვარ სადაზღვევო ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. „სწორედ სამი პირის ურთიერთობაშია პასუხისმგებლობის დაზღვევის თავისებურება“<sup>47</sup>. ამასთან, როგორც დამზღვევე, ისე მესამე პირი შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.<sup>48</sup>

პასუხისმგებლობის დაზღვევისას შეიძლება დაზღვეულ იქნეს მხოლოდ დამზღვევის პასუხისმგებლობა. ურთიერთობის სპეციფიკა არ ითვალისწინებს დამზღვევის უფლებას დააზღვიოს სხვა პირის, მაგ. თავისი მოვალის პასუხისმგებლობა.<sup>49</sup> შესაბამისად, დაზღვეულის ცნება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს დამზღვევის ცნების იდენტურია.

#### 4.2. პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტები

ზოგადად, დაზღვევის სამართალში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება დაზღვევის ობიექტის განსაზღვრას. სადაზღვევო ურთიერთობების განხილვის დროს არც თუ იშვიათია დაზღვევის ობიექტისა და დაზღვევის საგნის ცნებათა აღრევა.<sup>50</sup> სამოქალაქო კოდექსი დაზღვევის ობიექტების თაობაზე პირდაპირ მითითებას არ შეიცავს, თუმცა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს დაზღვევის ობიექტის რაობას და მიიჩნევს, რომ „დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის: ა) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო

<sup>47</sup> მონწილეობა ნ., სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2015, 94

<sup>48</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები 839-ე მუხლის კომენტარი, გვ.2 ხელმისაწვდომია: <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> [10.07.2019]

<sup>49</sup> А. А. Александров, Страхование, Москва, 1998, ст.55, ნაშრომიდან: გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნება და მნიშვნელობა, ურნ. სამართალი, 1999, N6,7 გვ.60,

<sup>50</sup> ქეცბაია ე., სადაზღვევო სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, ურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014, N4(43), 92

უმრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა); ბ) დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა); გ) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა)<sup>51</sup> აქედან ცხადი ხდება, რომ დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი უნდა იყოს კანონიერი, რაც ამავე დროს, დაზღვევის ინსტიტუტის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს<sup>52</sup>. ამასთან, დაზღვევის ობიექტი შეიძლება გახდეს ფიზიკური ან იურიდიული პირის ნებისმიერი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს.<sup>53</sup> „დაზღვევის ობიექტს განიხილავენ როგორც დაზღვევის ინტერესს, რომლის განსაზღვრაც აუცილებელია დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად.“<sup>54</sup>

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში დაზღვევის ობიექტად გვევლინება დამზღვევის ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა. იმის მიხედვით, თუ რა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევასთან გვაქვს საქმე, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს პასუხისმგებლობა სხვა პირის ქონებისთვის, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამო<sup>55</sup>. სასურველია, პასუხისმგებლობის გამომწვევი ზიანის სახე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაკონკრეტდეს<sup>56</sup> და მიეთითოს დამზღვევის რომელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის დაზღვევა ხდება კონკრეტული ხელშეკრულებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტი შესაძლოა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რათა დაზღვევის ეს სახე წინააღმდეგობაში არ მოვიდეს მხოლოდ კანონიერი ობიექტის დაზღვევის პრინციპთან.

#### 4.3. სადაზღვევო ღირებულებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სადაზღვევო ღირებულებისა და სადაზღვევო ანაზღაურების

<sup>51</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4. პარლამენტის უწყებანი, 21-22, 31/05/1997.

<sup>52</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 839-ე მუხლის კომენტარი, გვ.1, ხელმისაწვდომია: < [www.gccc.ge](http://www.gccc.ge) >, [10.07.2019]

<sup>53</sup> ქეცბაია ე. სადაზღვევო სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, N4(43), 92.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> Hofmann E. Privat Versicherungsrecht, Verlag C.H.beck, 3. Auflage, 1998, 56

<sup>56</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები.839-ე მუხლის კომენტარი, 1 ხელმისაწვდომია: < [www.gccc.ge](http://www.gccc.ge) > [10.07.2019]

განსაზღვრის საკითხი. პოტენციურ დამზღვევეს, როგორც წესი, აინტერესებს შესაძლებელია თუ არა დაზღვევა მისთვის ხელმისაწვდომ ფასად, ამ შეკითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აფასებს მზღვეველი რისკს და თუ რისკი მაღალია, მაშინ რა ფარგლებში შეუძლია მისი დაფარვა.<sup>57</sup> დაზღვევის სამართლისათვის მნიშვნელოვანია დაზღვევის ობიექტის ეკონომიკური განსაზღვრის შესაძლებლობის საკითხი. იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, „დაზღვევაუნარიანი ობიექტი ის სამართლებრივი სიკეთეა, რომლის ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრაც შესაძლებელია.“<sup>58</sup>

ზიანის დაზღვევისაგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სადაზღვევო პოლისში არ შეიტანება დაზღვევის ღირებულება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ პასუხისმგებლობის რეალური ღირებულების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.<sup>59</sup> სადაზღვევო ღირებულების განსაზღვრას ართულებს ის ფაქტიც, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მოიცავს იმ აუცილებელ სასამართლო და არასასამართლო ხარჯებსაც, რომლებიც მესამე პირის მოთხოვნისაგან დასაცავად იქნა გაწეული.<sup>60</sup> იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს მხარეებს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულებით იმ შემთხვევაში, თუ მაგ. დაზღვევის ობიექტია კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულებიდან გამომდინარე წინასწარ განსაზღვრული ოდენობის პირგასამტეხლოს ან ბეს გადახდისთვის დამზღვევის პასუხისმგებლობა.<sup>61</sup>

სადაზღვევო ღირებულებისგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის პირობებში, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფულადი ოდენობის ზედა ზღვარი, ანუ სადაზღვევო ანაზღაურების (და არა სადაზღვევო ღირებულების) ოდენობა, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზარალებულ მესამე პირს მზღვეველი აუნაზღაურებს. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს რჩება უფლება, მიყენებული ზიანის ის ნაწილი,

---

<sup>57</sup> Clarke M., Policies and perceptions of Influence Law in the Twenty-First Century, Oxford University Press, 2007, 22-23

<sup>58</sup> ირემამვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 2016, 28.

<sup>59</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 9-10

<sup>60</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 841-ე მუხლი

<sup>61</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 87.

რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას, მოითხოვოს უშუალოდ ზიანის მიმყენებლისგან. სსკ-ის 840-ე მუხლში განსაზღვრულია, რომ მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი „თავისი ვალდებულების ფარგლებში“, ამ შემთხვევაში ფრაზა „თავისი ვალდებულების ფარგლებში“ მოიცავს, როგორც პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო შემთხვევას, ასევე სადაზღვევო ანაზღაურების ზედა ზღვარს. დაზღვევის ურთიერთობებში უმეტესად გამოიყენება „პირველი რისკის სისტემა“, რაც გულისხმობს ფაქტიურად დამდგარი ზარალის ანაზღაურებას არაუმეტეს მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული სადაზღვევო თანხისა, რომლის დროსაც სადაზღვევო თანხის საზღვრებში არსებული (პირველი რისკი) მთელი ზარალი კომპენსირდება, ხოლო ზარალის დარჩენილი ნაწილი აღარ ექვემდებარება ანაზღაურებას.<sup>62</sup> სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების ეს სისტემა შესაძლებელია მხარეებმა დაუბრკოლებლად გამოიყენონ, თუმცა იგი არ არის შეთავსებადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის არსთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მესამე პირების ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედავად მხარეთა შორის სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობაზე შეთანხმების არსებობისა, მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად.<sup>63</sup>

ნებისმიერი ფორმით სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს, როგორც ზოგადად ზიანის დაზღვევის შემთხვევაში, მოქმედებს Principle of indemnity, რაც იმას გულისხმობს, რომ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მიყენებული ზიანის ოდენობას და ემსახურება დაზღვევის უმთავრეს მიზანს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომ დამზღვევი (ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, პირი, რომელსაც დამზღვევის ქმედებით მიაღდა ზიანი) ჩააყენოს იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფებოდა მანამ, სანამ მიაღებოდა ზიანი.<sup>64</sup>

#### 4.4. სუბროგაციის საკითხი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში

<sup>62</sup> ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, მეორე გამოცემა, თბილისი, 2009, 295

<sup>63</sup> Jerry R., Richmond D., Understanding Insurance Law, Fourth Edition, LexisNexis, 2007, 228.

<sup>64</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 820-ე მუხლის კომენტარი, 2 ხელმისაწვდომია: <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)>[10.07.2019]

“სუბროგაცია” ლათინური წარმოშობის სიტყვაა (subrogare), რაც ნიშნავს ერთი საგნის მეორეთი ჩანაცვლებას.<sup>65</sup> იგი სადაზღვევო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად მიიჩნევა, ქართველი კანონმდებელი ამ ტერმინს არ იყენებს სამოქალაქო კოდექსში, თუმცა შინაარსობრივად განამტკიცებს მას სსკ-ის 832-ე მუხლში.<sup>66</sup> სუბროგაციის პრინციპი ითვალისწინებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად გაცემული თანხის იმ პირისაგან მოთხოვნის შესაძლებლობას, რომლის ქმედების შედეგადაც დადგა ზიანი და რომლის მიმართაც დამზღვევეს გააჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენების უფლება (სადაზღვევო შემთხვევა)<sup>67</sup>.

საინტერესოა, სუბროგაციის გამოყენების შესაძლებლობის საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვევის ობიექტს დამზღვევის სამოქალაქო პასუხისმგებლობა წარმოადგენს და იგი თავად გვევლინება სხვა პირისთვის ზიანის მიმყენებლად. სსკ-ში 832-ე მუხლის სისტემური მდებარეობიდან გამომდინარე (სუბროგაცია მოცემულია ზიანის დაზღვევის ზოგად დებულებებში, ხოლო პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს ზიანის დაზღვევის სახეს), იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტზეც ვრცელდება.<sup>68</sup> იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სუბროგაციის არსიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი გავრცელება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე.<sup>69</sup> „სუბროგაციის გამოყენებას მივყავართ სიტუაციამდე, როდესაც დამზღვევი, რომელიც იხდის თანხას საკუთარი პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის, არ თავისუფლდება ხარჯებისაგან, არამედ მას მაინც ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება... პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის გამოყენებამ აბსურდულ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს“.<sup>70</sup> სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევა, რომლის დროსაც მზღვეველი აღიჭურვება რეგრესული მოთხოვნის უფლებით, გათვალისწინებულია სსკ-ის 843-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს, თუ

<sup>65</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომც. „მერიდიანი“ თბ., 2001, 5.

<sup>66</sup> ამირანაშვილი გ., სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, 20

<sup>67</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები. 832-ე მუხლის კომენტარი, გვ. 1 ხელმისაწვდომია: <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> [10.07.2019]

<sup>68</sup> მონონელიძე ნ., სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2015, 94

<sup>69</sup> Müller A., Regress im Schadensausgleichsrecht unter besonderer Berücksichtigung des Privatversicherers, Dissertation, D-Druck-Spescha, 2006, 86.

<sup>70</sup> მონონელიძე ნ., სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2015, 95

დამზღვევემა ზიანი განზრახ გამოიწვია, მზღვეველი ვალდებულია მესამე პირის ინტერესებიდან გამომდინარე ანაზღაუროს იგი, ხოლო შემდგომ, რეგრესის წესით მოითხოვოს ანაზღაურებული თანხის გადახდა დამზღვევისგან<sup>71</sup> (მაგ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს რეგრესული მოთხოვნა შეიძლება წარედგინოს იმ პირს, ვინც არაკანონიერად მართავდა სატრანსპორტო საშუალებას<sup>72</sup>). საგულისხმოა, რომ ეს წესი თავისი არსით სუბროგაციას არ წარმოადგენს, ვინაიდან სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულება უცვლელად გადადის ახალ კრედიტორზე, რეგრესის შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ახალ ვალდებულებასთან.<sup>73</sup>

## 5. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების საფუძვლები

### 5.1. წინასწარ განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომა

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება შესაძლებელია გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. ისევე, როგორც დაზღვევის სხვა სახეების დროს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მზღვეველსა და დამზღვევს შორის სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების არსებობა, რომლითაც განსაზღვრული იქნება სადაზღვევო შემთხვევა. დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი და სპეციალური ნორმები, ეს იმას ნიშნავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელია ორი ურთიერთმთარავი ნების გამოვლენა (ოფერტი და აქცეპტი), მხარეების მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა და დაზღვევის ობიექტის კანონიერება.<sup>74</sup>

დამზღვევის არა ყოველგვარი პასუხისმგებლობა ანაზღაურდება მზღვეველის მიერ, არამედ მხოლოდ ის, რომელიც განსაზღვრული იყო მხარეთა შორის არსებული დაზღვევის ხელშეკრულებით. მაგალითად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს დამზღვევის მხოლოდ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა იქნება დაზღვეული თუ დელიქტურიც, ერთი კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა იქნება

<sup>71</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 843-ე მუხლის კომენტარი, გვ. 2, ხელმისაწვდომია <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> [10.07.2019]

<sup>72</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2001, 56.

<sup>73</sup> ამირანაშვილი გ., სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბ., 2011. 21

<sup>74</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანათვარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016, 51.



დაზღვეული თუ მისი ყველა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით დამდგარი პასუხისმგებლობა, დელიქტის შემთხვევაში კონკრეტულად რა სახით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, აანაზღაურებს თუ არა მზღვეველი დამზღვევის მიერ სხვა პირისათვის მიყენებულ მორალური ზიანს და ა.შ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევების ჩამონათვალი შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს. ვალდებულების შეუსრულებლობის ეტაპზე სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების ცოდნასა და გაცნობიერებას იურიდიული დოქტრინა პასუხისმგებლობისათვის განმსაზღვრელ დატვირთვას ანიჭებს.<sup>75</sup> სწორედ პასუხისმგებლობის დაზღვევის მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს მზღვეველისა და დამზღვევისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების გაცნობიერების ხარისხს.

დამზღვევის პასუხისმგებლობის კონკრეტული სახის მითითება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.<sup>76</sup> სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ეტაპზე მნიშვნელოვანია დამზღვევა ზუსტად გააცნობიეროს, რა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა ხდება დაზღვევის ხელშეკრულებით და რა ვალდებულებები ეკისრება მზღვეველის წინაშე. ხელშეკრულების არსებობა მნიშვნელოვანია არამართო ნებაყოფლობითი, არამედ სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაშიც. ასეთ დროს მხარეთა ნების ავტონომია შებოჭილია სავალდებულო დაზღვევის მარეგულირებელი საჯაროსამართლებრივი აქტებით, თუმცა ხელშეკრულებით წესრიგდება ყველა ის პირობა, რომელიც აუცილებელია მხარეთა შორის ურთიერთობის დეტალების განსასაზღვრად და ამავე დროს, არ ეწინააღმდეგება კანონს.<sup>77</sup> ამდენად, სავალდებულო დაზღვევის დროს შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტი და ხელშეკრულება სრულ ჰარმონიაშია ერთმანეთთან და ავსებს ღიად დატოვებულ საკითხებს როგორც დამზღვევის, ისე მესამე პირების ინტერესების სასარგებლოდ.

## 5.2. დამზღვევის სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრა

„სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მზღვეველს მხოლოდ მაშინ შეიძლება დაეკისროს, თუ არსებობდა დამზღვევისათვის

<sup>75</sup> ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი, #1, 2009, 207

<sup>76</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. სამართალი N10,11,12, 2000, 59.

<sup>77</sup> ცისკაძე მ., ავტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1-2 კვ. 1999, 68

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადი საფუძვლები<sup>78</sup>. პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ამ მექანიზმის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია, სამოქალაქო სამართლის ნორმებმა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და ბალანსი უზრუნველყოს, ვინაიდან ურთიერთობების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების ზედმინწევნით შესრულება კი ზიანის დადგომისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის გარანტია ვერ იქნება. „ზიანის სანაცვლოდ შემხვედრი ვალდებულების დაკმაყოფილების მიღება ისეთი ლოგიკური და ბუნებრივი პროცესია, როგორც, მაგალითად, სიკეთის სიკეთითვე გადახდის ზნეობრივი ვალდებულება“<sup>79</sup>. თუმცა, მნიშვნელოვანია მართლწესრიგმა სწორად განსაზღვროს, როდის არის ბუნებრივი და ლოგიკური ზიანის ანაზღაურება, რისთვისაც მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.

ქართული სამოქალაქო სამართლისთვის აუცილებელია, რომ პირისათვის ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: 1. ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. 2. ზიანი, როგორც ფაქტობრივი მოცემულობა. 3. მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის და 4. ბრალი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცილება, განადგურება“<sup>80</sup>. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა ზიანად მიგვეჩნია არა უშუალოდ უფლების შეზღუდვა ან კეთილდღეობის მოშლა/შემცილება,<sup>81</sup> არამედ ეს უკანასკნელი განმარტებულიყო როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ხოლო ზიანი მიგვეჩნია მის სამართლებრივ შედეგად.

ზოგადი პრინციპის თანახმად, „ზიანის ანაზღაურებაზე პირს ვალდებულს ხდის არა თავისთავად ზიანი, არამედ ბრალი“<sup>82</sup>. ბრალის ცნების ქვეშ მოაიზრება

<sup>78</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 73

<sup>79</sup> სახელმწიფო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, რედ. გ. ჯუღელი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2014, 677.

<sup>80</sup> ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, 16.

<sup>81</sup> იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, უფლება შეიძლება წარმოიშვას, შეიზღუდოს, დაირღვეს და არა დამცირებულ იქნეს, ხოლო კეთილდღეობა - შემცირდეს, შენარჩუნდეს ან მოიშალოს და არა განადგურდეს. იხ. პეპანაშვილი ნ. „სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება“ სადოქტორო ნაშრომი, თბილისი 2016, 67

<sup>82</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 107.



პასუხისმგებელი სუბიექტის გაუფრთხილებელი ან განზრახი ქმედება. თუმცა, როდესაც საქმე ეხება პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევას, მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისთვის აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევა გამონვეული არ იყოს ბრალის ისეთი ფორმებით, როგორცაა განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მახასიათებლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მზღვეველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხი. აღნიშნული რეგულირდება სსკ-ის 829-ე და 842 მუხლებით, რომელთა თანახმადაც, განზრახი და უხეში გაუფრთხილებლობით გამონვეული ზიანის შემთხვევაში მზღვეველი ანაზღაურების ვალდებულებისგან თავისუფალია. სსკ-ის 829-ე მუხლის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. საგულისხმოა, რომ ეს მუხლი ზიანის დაზღვევის თავშია მოცემული, კერძოდ ხელშეკრულების შინაარსის ქვეთავში, მაშასადამე, იგი ცალსახად მიესადაგება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევასაც, რომელიც ზიანის დაზღვევის კონკრეტულ სახედ მიიჩნევა. სამოქალაქო კოდექსში 829-ე და 842-ე მუხლების არსებობა აადვილებს დამზღვევის განზრახი ან უხეშად გაუფრთხილებელი ქმედების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის გადაწყვეტას, თუმცა, საკითხის მოსაწესრიგებლად სამოქალაქო სამართლისთვის უმთავრესი - კეთილსინდისიერების პრინციპის მოშველიებაც საკმარისი უნდა იყოს. კეთილსინდისიერება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით განპირობებულ მოქმედებას გულისხმობს<sup>83</sup>. შესაბამისად იგი დაზღვევის სამართლის პოსტულატსაც წარმოადგენს. სსკ-ის 842-ე მუხლი მზღვეველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობად მიიჩნევს დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის „შეგნებულად გამონვევას“, რაშიც იგულისხმება როგორც განზრახვა, ისე უხეში გაუფრთხილებლობა.<sup>84</sup>

დაზღვევას ექვემდებარე სამოქალაქო პასუხისმგებლობა იმგვარი ზიანის მიყენებისთვისაც, რომელიც ბრალის მიუხედავად უნდა ანაზღაურდეს.<sup>85</sup> ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტი დელიქტური სამართლის წარმონაქმნია

<sup>83</sup> ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2006, 13-14.

<sup>84</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 842-ე მუხლის კომენტარი, 2, ხელმისაწვდომია: <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> [10.07.2019]

<sup>85</sup> Tomeski B., Development of Motor Third Party Liability Insurance Market in Terms of Changing Regulation, 2012 ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/2xBRdvy>> [07.07.2019]

და ძირითადად მოქმედებს მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენების შემთხვევებისთვის. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპის შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს (მფლობელს), რომელიც არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს და არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში.<sup>86</sup>

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევისაგან განსხვავებით, სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველს არ აქვს უფლება უარი განაცხადოს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. სსკ-ის 843-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მაშინაც კი, როდესაც მზღვეველი თავისუფალია დამზღვევის წინაშე ანაზღაურების ვალდებულებისაგან, მისი პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მესამე პირების წინაშე, თუკი საქმე გვაქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევასთან. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი უპირატესობას ანიჭებს სავალდებულო დაზღვევის საჯაროსამართლებრივ მიზანს - მესამე პირთა ინტერესების დაცვას და ამავე დროს, მზღვეველს ალჭურავს დამზღვევის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლებით<sup>87</sup>.

სსკ-ის 839-ე მუხლის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ დამზღვევის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირის მიმართ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.<sup>88</sup>

## 6. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფორმები

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა შესაძლოა განხორციელდეს როგორც ნებაყოფლობით, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, ასევე ნორმატიული აქტით დადგენილი სავალდებულო წესით. ტერმინები „სავალდებულო“ და „ნებაყოფლობითი“ ეფუძნება ადამიანის მოქმედებას. ტერმინი "ნებაყოფლობითი" აღწერს დამოუკიდებელ ქცევას, რომელიც არ არის განსაზღვრული გარე ძალების გავლენით, მაშინ როდესაც მოვალეობის კონცეფცია ყოველთვის იძულებასთანაა ასოცირებული.<sup>89</sup>

<sup>86</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება #ას-254-239-2010. ხელმისაწვდომია: < [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge) >

<sup>87</sup> ირემავილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 843-ე მუხლის კომენტარი, 1, ხელმისაწვდომია: < [www.gccc.ge](http://www.gccc.ge) > [10.07.2019]

<sup>88</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 44

<sup>89</sup> Beier L., Die PrivatHaftpflichtversicherung: „Pflicht“ oder „Freiwilligkeit“? 2014, 2.

ხელმისაწვდომია: < [https://monami.hs-mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA\\_18.07.2014.pdf](https://monami.hs-mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA_18.07.2014.pdf) > [01.07.2019]

ნებაყოფლობითი დაზღვევა მხარეთა ნების ავტონომიის საფუძველზე წარმოიშობა და მისი სამართლებრივი რეგულირება მთლიანად სსკ-ის შესაბამისი ნორმებით ხორციელდება, ხოლო რაც შეეხება სავალდებულო დაზღვევას, იგი, ორიენტირებულია რა მესამე პირთა ინტერესების დაცვაზე, უფრო მეტად საჯაროსამართლებრივ ხასიათს ატარებს და სპეციალური კანონებით წესრიგდება. სავალდებულო დაზღვევის აუცილებელი პირობაა, ერთი მხრივ, დაზღვევის განხორციელების უზრუნველსაყოფად სპეციალური კანონის მიღება და, მეორე მხრივ, კანონის საფუძველზე პირისთვის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების დავალდებულება.<sup>90</sup>

### **6.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა**

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის ინსტიტუტი მთლიანად კერძოსამართლებრივი ნების ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპზეა დამყარებული.<sup>91</sup> დამზღვევს შეგნებული აქვს რა საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა, იგი საკუთარი ნებით აზღვევს მათ წინაშე პასუხისმგებლობას. როგორც აღინიშნა, იმის გამო, რომ სადაზღვევო რისკის რეალიზაცია დამზღვევის გავლენის სფეროშია მოქცეული, ხშირ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულების დადება პოტენციურ დამზღვევებს საჭიროდ არ მიაჩნიათ. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს დამზღვევის როლში საზოგადოების ის წევრები გამოდიან, რომელთაც კარგად აქვთ გათვითცნობიერებული ის საფრთხე, რასაც მათი ნებისითი თუ უნებლიე ქმედება მესამე პირებისთვის ქმნის.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულება ნაკლებადაა შებოჭილი იმპერატიული საკანონმდებლო დანაწესებით და იძლევა ლავირების საშუალებას. მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ სადაზღვევო ანაზღაურების ზედა ზღვარი, ასევე დაანესონ დამატებითი კანონით სსკ-ის შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული დათქმები იმ პირობით, რომ იგი წინააღმდეგობაში არ მოვა სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპებთან, სამოქალაქო პასუხისმგებლობის არსთან და კანონის იმპერატიულ დებულებებთან.<sup>92</sup>

<sup>90</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომც. მერიდიანი, თბ., 2001, 17.

<sup>91</sup> ბონარი უ., სადაზღვევო სამართლის საწყისები, ნ. კინწურაშვილის თარგმანი, თბ., 2003, 11-12

<sup>92</sup> შეადარეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე №ას-134-134-2018,

## 6.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა

სსსკ-ის 801-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სავალდებულო დაზღვევა, რომლის მიმართაც გამოიყენება ამ თავის წესები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას სავალდებულო დაზღვევის შესახებ,“ ხოლო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი არამხოლოდ აღიარებს სავალდებულო დაზღვევის არსებობის შესაძლებლობას, არამედ განმარტავს მის შინაარსსაც.<sup>93</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვეული ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ“. სავალდებულო დაზღვევა უგულებელყოფს მხარეთა ნების ავტონომიას.<sup>94</sup> ამავე დროს, მისი განუხორციელებლობისათვის ვალდებული პირი პასუხს აგებს არა სამოქალაქო სამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული წესით.<sup>95</sup>

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა სავალდებულო დაზღვევის ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა საერთაშორისო პრაქტიკაში.<sup>96</sup> სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველსა და დამზღვევს შორის ურთიერთობა შესაბამისი კანონისა და მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წესრიგდება, თუმცა ის ფაქტი, რომ სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაშიც მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობა აუცილებელია, მათ ურთიერთობას ვერ აქცევს წმინდად კერძოსამართლებრივ ურთიერთობად. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სავალდებულო დაზღვევა უგულებელყოფს დამზღვევის ნებას, დადოს ან არ დადოს ამგვარი ხელშეკრულება და ამდენად, იგი ვერ განიხილება სამოქალაქოსამართლებრივ

<sup>93</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>94</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის Nას-4-381-05 გადაწყვეტილება.

<sup>95</sup> მაგ. იხ. „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი. ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/211263?>> [14.07.2019]

<sup>96</sup> იხ. განმარტებითი ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ (№07-2/303; 31.12.2018). ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)> [08.07.2019]

ხელშეკრულებად<sup>97</sup>. ასეთ შემთხვევაში, ხშირად დამზღვევი შეზღუდულია როგორც ხელშეკრულების დადების ასევე, მისი შინაარსის განსაზღვრის საკითხში. განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, განმარტა რა, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულობა არ ნიშნავს მის შეუთავსებლობას სამოქალაქო სამართალთან<sup>98</sup> და იგი „შეიძლება განვიხილოთ როგორც ტრადიციული ვალდებულებითი ურთიერთობის კანონისმიერი ბოჭვის ერთ-ერთი შემთხვევა.“<sup>99</sup>

პრემიის გადახდა დაზღვევისთვის, რომლის სავალდებულობაც განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ იმგვარი სადაზღვევო შემთხვევისთვის, რომელიც ცხადია, რომ არასოდეს მოხდება, ხელს უწყობს სახიფათო ხაზის გაჩენას ერთი მხრივ მართლაც აუცილებელი ზომების მიღებასა და მეორე მხრივ თავისუფლების ზედმეტ, გაუმართლებელ შეზღუდვას შორის.<sup>100</sup> სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღება უმეტესად განპირობებულია დამზღვევის მომეტებული რისკით, გახდეს ზიანის მიმყენებელი მესამე პირებისათვის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს დამზღვევის პროფესიული საქმიანობით ან მის მიერ განსახორციელებელი ქმედების, როგორც მომეტებული რისკის წყაროს აღქმით. გარდა ამისა, ერთ-ერთი მოსაზრებით, „სავალდებულო დაზღვევა სოციალური დაცვის მიზნით არის შემოღებული. სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ სახის სავალდებულო დაზღვევის შემოღების ძირითადი მიზანი სოციალური პასუხისმგებლობის კერძო სექტორზე გადანაწილებაა.“<sup>101</sup> „ვინაიდან ასეთი დაზღვევა საყოველთაობის პრინციპს ემყარება... იგი, ნებაყოფლობითი დაზღვევისაგან განსხვავებით, ხელს უწყობს სტაბილური და მონესრიგებული სამოქალაქო ურთიერთობის ჩამოყალიბებას.“<sup>102</sup>

ზოგადად, პასუხისმგებლობის დაზღვევა გამიზნულია არა მხოლოდ მესამე პირთა, არამედ აგრეთვე დამზღვევის ქონებრივი ინტერესების

---

<sup>97</sup>ცისკაძე მ. ავტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, უურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 1-2 კვ. 1999, 15.

<sup>98</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>99</sup> იქვე

<sup>100</sup> Beier L., Die PrivatHaftpflichtversicherung: „Pflicht“ oder „Freiwilligkeit“? 2014, 2.

ხელმისაწვდომია: < [https://monami.hs-](https://monami.hs-mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA_18.07.2014.pdf)

[mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA\\_18.07.2014.pdf](https://monami.hs-mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA_18.07.2014.pdf) >[01.07.2019]

<sup>101</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>102</sup> იქვე.

სასარგებლოდ,<sup>103</sup> რაც ნაკლებად მნიშვნელოვანია სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო ფორმით დაზღვევის დროს. მაგალითისთვის, „მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N177 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ „სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მიზანია, მასობრივი თავშეყრის ობიექტებში და ამ ობიექტებიდან გამომდინარე, მესამე პირთა პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვა.“ ამდენად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს, დამზღვევის ქონებრივი ინტერესი კარგავს უპირატესობას მესამე პირების ინტერესთან შედარებით და მას მხოლოდ ხელშეკრულების შედეგების თანმდევი მოვლენის ხასიათი აქვს.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო ფორმის შემოღების დღიდან კვლევის და ამასთან, დისკუსიის საგანს წარმოადგენს მისი უმთავრესი დანიშნულება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ზოგადად, პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია ერთი მხრივ სამართალდარღვევის პრევენცია, ხოლო მეორე მხრივ კომპენსაციის უზრუნველყოფა დამდგარი ზიანისთვის.<sup>104</sup> თავის მხრივ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პრევენციული ხასიათი დავის საგანია და რიგ შემთხვევებში მას არათუ პრევენციულად, არამედ, სამართალდარღვევის ჩადენის მაპროვოცირებელ გარემოებადაც კი მიიჩნევენ.<sup>105</sup> იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევა დელიქტის სამართლის უმთავრეს მიზნებს - ზიანის პრევენციასა და სამართალდამრღვევის დასჯას ეწინააღმდეგება.<sup>106</sup> ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, დამზღვევს, რომელმაც იცის, რომ მის ნაცვლად მისგან მიყენებულ ზიანს სხვა აანაზღაურებს, ვალდებულების შესრულება ნაკლებად მნიშვნელოვნად მიაჩნია.<sup>107</sup> ეს განსაკუთრებით ეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემთხვევას, სადაც დაზარალებული მესამე პირი უზრუნველყოფილია ნებისმიერ შემთხვევაში მიიღოს მზღვეველისგან შესაბამისი ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირის ინტერესი დაცულია

<sup>103</sup> გვარამია ლ., ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი დახასიათება, ურნ. სამართალი, N2, 2002, 25

<sup>104</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 113.

<sup>105</sup> იქვე

<sup>106</sup> იქვე. შემდგომი მითითებით: Pottier S., Witt R., 4.

<sup>107</sup> იქვე.

იმის მიუხედავად, რა მოცულობის ვალდებულება ეკისრება მზღვეველს დამზღვევის წინაშე.<sup>108</sup> ჟ. ბონარი პასუხისმგებლობის დაზღვევის უარყოფით ეფექტებზე საუბრისას აღნიშნავს „პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებობით ხშირ შემთხვევაში შეიძლება აიხსნას პირთა პასუხისმგებლობის ჩარჩოების გაფართოება... პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროცესის წარმოებისას სასამართლო აღარ ეძებს ბრალეულ ან პასუხისმგებელ პირს. მას აინტერესებს პასუხისმგებლობის მზღვეველი, რომელიც უბედურ შემთხვევაში „გარეული“ პირის უკან „იმალება“. ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისთანავე საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ დაზღვეულმა პასუხი უნდა აგოს. ეს მაშინვე აძლევს უფლებას დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება. ითვლება, რომ სახეზეა ბრალი (მაშინ როდესაც ეს სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს), ან კიდევ მიმართავენ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობისა თუ ობიექტური პასუხისმგებლობის ახალ შემთხვევებს.“<sup>109</sup>

## **7. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის უპირატესი მიზნის განსაზღვრა სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს**

### **7.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის მიზანი.**

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზნის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქმე გვაქვს დაზღვევის ხელშეკრულებასთან, რომელიც, როგორც წესი, დაზღვეული პირის ინტერესების დაცვას ემსახურება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევის დროს ნებისმიერი დამზღვევი უპირატესად პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ვინაიდან დაზღვევის ეს ფორმა არ არსებობს დამზღვევის ნების გარეშე, ხოლო ეს ნება უმეტესწილად მიმართულია მისი პირადი ინტერესების დასაცავად, მიიჩნევა, რომ მისი უმთავრესი მიზანი დამზღვევის ქონებრივი ინტერესების დაცვაა.<sup>110</sup> რაც შეეხება მესამე პირთა ინტერესების დაცვას, აღნიშნული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია და ნებაყოფლობითი დაზღვევის პირობებშიც კონკურენციას უწევს დამზღვევის ინტერესების დაცვის მიზანს.

შესაძლებელია, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის შემთხვევაში მხარეებმა დაზღვევის ხელშეკრულება ჩამოაყალიბონ იმგვარად, რომ დაზარალებული მესამე პირისთვის ზიანის ანაზღაურება ერთი

<sup>108</sup> იქვე. გვ 117

<sup>109</sup> ბონარი ჟ. სადაზღვევო სამართლის საწყისები, თბილისი, ნ. კინწურაშვილის თარგმანი., 2003, 12

<sup>110</sup> Hofmann E. Privat Versicherungsrecht, Verlag C.H.beck, 3. Auflage, 1998, 229



მხრივ გარანტირებული იყოს, თუმცა, მეორე მხრივ, საფრთხეს უქმნიდეს მის შესაძლებლობას, მიიღოს იგი მოკლე დროში, მითუფრო იმ პირობებში, როდესაც დაზარალებული არ ფლობს ინფორმაციას ზიანის მიმყენებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე. ასეთი შემთხვევის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ სადაზღვევო ხელშეკრულების პირობა, რომელიც ითვალისწინებს მზღვეველის მიერ მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დამზღვევეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა. ასეთ შემთხვევაში ცხადია, რომ დაზარალებული არ არის დამოკიდებული დამზღვევის ფინანსურ შესაძლებლობაზე, თუმცა იგი ვერ ახერხებს თავიდან აიცილოს სასამართლო დავა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივ ვადებთანაა დაკავშირებული.

ზემოთმოყვანილის ანალოგიურ შემთხვევაზე მსჯელობისას, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულების ამგვარი პირობის მიხედვით, უდავოც რომ იყოს მესამე პირისათვის ზიანის ბრალეული მიყენება, ზიანის მიმყენებელი მანქანის მესაკუთრე ან უფლებამოსილი მძღოლი ვალდებულია, სასამართლო წესით იდავოს, ამასთან, კიდევ რომ იცოდეს და აცნობიერებდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობასა და ბრალეულობას, მან ეს არ უნდა აღიაროს და მით უფრო, ზიანი არ უნდა აანაზღაუროს, ხოლო ამგვარი შეთანხმება ეწინააღმდეგება სსკ-ის მე-8 მუხლით განმტკიცებულ კეთილსინდისიერების პრინციპს და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების მარეგულირებელ წესებს.<sup>111</sup> მოცემულ მსჯელობაში უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს მესამე პირის ინტერესები სამართლებრივად გაათანაბრა დაზარალებულის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების დროს დაზღვეული პირის ინტერესებთან, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მესამე პირის ინტერესების დაცვის უდიდეს მნიშვნელობას ნების ავტონომიაზე დაფუძნებული დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაშიც.

## **7.2. მესამე პირთა ინტერესის დაცვა, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მიზანი**

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მნიშვნელობის კვლევისას ერთ-ერთი უმთავრესია მისი უპირატესი მიზნის განსაზღვრა. ამ ტიპის დაზღვევისას მესამე პირთა განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება მის უპირატეს ინტერესად

<sup>111</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე №ას-134-134-2018, ხელმისაწვდომია: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)



მესამე პირების დაცვის განსაზღვრის თაობაზე, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, განაპირობებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისა და მესამე პირთა სასარგებლოდ დაზღვევის ინსტიტუტების არც თუ იშვიათ აღრევას.<sup>112</sup>

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, დამზღვევის ფინანსური ინტერესის დაცვას, მისთვის ზიანის ანაზღაურების ხარჯების თავიდან აცილებას, ხოლო მეორე მხრივ, იცავს დაზარალებული მესამე პირის ინტერესებს მარტივად, ყოველგვარი გართულებული და ხანგრძლივი სასამართლო და სააღსრულებო პროცედურების გარეშე დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით დამზღვევს საშუალება აქვს არამხოლოდ საკუთარი თავი დაიცვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, არამედ უზრუნველყოს მესამე პირის დაცვაც ზიანის ანაზღაურების მიზნით გართულებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებისგან.<sup>113</sup> ამდენად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა დაზარალებულის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის საიმედო გარანტიას წარმოადგენს.<sup>114</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის ეფექტურობას სწორედ მესამე პირთა კომპენსაციის მიზნის გათვალისწინებით განსაზღვრავენ.<sup>115</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადანყვეტილებაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ინსტიტუტს მიაკუთვნებს სახელმძღვანელო თავისუფლების პრინციპში თანამედროვე სამართლის მიერ შეტანილ ისეთ კორექტივათა რიცხვს, რომლებიც გამომდინარეობენ სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა თუ სუსტი მხარის ინტერესებიდან, ან სხვა სამართლებრივად პატივსადები საფუძვლებიდან როგორცაა, მაგ. კონტრაპირების იძულება.<sup>116</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამა თუ იმ სახის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტი პირდაპირ უთითებს პასუხისმგებლობის დაზღვევის უპირატეს მიზანს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ „ადვოკატი

<sup>112</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 839-ე მუხლის კომენტარი, 2, ხელმისაწვდომია: <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> [10.07.2019]

<sup>113</sup> Rieck c., Haftpflichtversicherung, S 4., ხელმისაწვდომია: <https://ha159.domainkunden.de/VMV/Info/Haftpflicht-Info.pdf> [03.07.2019]

<sup>114</sup> ცისკაძე მ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი IV, ტომი II, გამომც. სამართალი, თბ., 2001, 408.

<sup>115</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 46.

<sup>116</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადანყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ვალდებულია კლიენტისათვის შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, კანონით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა.“ აქ ნათელია, რომ კანონმდებელმა უპირატეს მიზნად მესამე პირის ინტერესების დაცვა მოიაზრა.

მესამე პირთა ინტერესების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს, ანაზღაურების თაობაზე მზღვეველის ვალდებულების წარმოსაშობად საჭირო არ არის მისი ინფორმირება მოხდეს უშუალოდ დაზარალებულის მხრიდან, დაზარალებულს არ ეკისრება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იმ ხელშეკრულების მხარისათვის, რომლის მონაწილეც თავად არ არის, მეტიც, დაზარალებულმა შესაძლოა არც იცოდეს, რომ ზიანის მიმყენებელ პირს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვეული აქვს.<sup>117</sup> ამავე მიდგომას იზიარებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა ჯერ კიდევ 2000 წელს, როდესაც ერთ-ერთ საქმეში მზღვეველის მითითების საპასუხოდ (იმის თაობაზე, რომ დაზარალებულის მიერ მისთვის სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობა ანაზღაურების ვალდებულებას არ აკისრებდა) განმარტა, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეთათვის მოქმედებდა და დაზარალებული მზღვეველის წინაშე ამ ვალდებულების შესრულებისგან თავისუფალი იყო.<sup>118</sup> აღნიშნული პრინციპი უფრო მკაცრდება პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში, ასეთ დროს არათუ დაზარალებული მესამე პირის, არამედ თავად დაზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თაობაზე მზღვეველისათვის შეუტყობინებლობაც ვერ იქნება მზღვეველის მიერ ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან ასეთი დაშვება გამოიწვევს ზიანის დროულად და მარტივად ანაზღაურებასთან დაკავშირებით მესამე პირის ინტერესების შელახვას.<sup>119</sup>

## 8. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეები

დაზღვევის ინსტიტუტის სპეციფიკური ხასიათიდან და სამოქალაქოსამართლებრივი ნების ავტონომიიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის

<sup>117</sup> გვარამია ლ., ავტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი დახასიათება“, ჟურნალი სამართალი, N2, 2002, 29

<sup>118</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 27 დეკემბრის N3კ/726 განჩინება.

<sup>119</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 109

სახეების ამომწურავი ჩამოთვლა. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას დააზღვიონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვევის ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისათვის და თუ საქმე არ გვაქვს პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევასთან, თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეების ამომწურავად ჩამოთვლის შეუძლებლობა არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია მათი კლასიფიკაცია საერთო ნიშნების მიხედვით. პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეების კლასიფიკაციის მცდელობა იურიდიულ ლიტერატურაში არც თუ იშვიათი მოვლენაა.

ე. მანესისეული კლასიფიკაციის შესაბამისად, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობისგან პასუხისმგებლობის დაზღვევა, ნივთის დაზიანებისთვის პასუხისმგებლობის დაზღვევა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>120</sup> ინგლისისა და ამერიკის სადაზღვევო პრაქტიკის თანახმად კი პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეები იყოფა შემდეგნაირად: სანარმოს პასუხისმგებლობის დაზღვევა, ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა და საზოგადოებების პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>121</sup>

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ძირითად სახეს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს, ხოლო პასუხისმგებლობის დაზღვევის ყველა დანარჩენი სახე შესაძლებელია გაერთიანდეს ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის ქვეშ, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვან სახედ უნდა მივიჩნიოთ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>122</sup>

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეების კლასიფიკირების უნივერსალური სისტემა შემუშავებული არ არის, თუმცა გამოთქმულია რამდენიმე საინტერესო მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის და პროფესიული პასუხისმგებლობა არ უნდა მივაკუთვნოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეებს, ვიანიდან ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, დგება დაზღვევის ადმინისტრაციულსამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი და შესაბამისად,

<sup>120</sup> იქვე. 88

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup> Hofmann E. Privat Versicherungsrecht, Verlag C.H.beck, 3. Auflage, 1998, S.226-227.

დაზღვევის ობიექტს სამოქალაქო პასუხისმგებლობა არ წარმოადგენს.<sup>123</sup> მიმაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც წუნდებული პროდუქტით ან დამზღვევის პროფესიული საქმიანობის შესრულების ან/და შეუსრულებლობის შედეგად დგება დამზღვევის ადმინისტრაციულსამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ბუნებრივია, საჯარო ინტერესებიდან და პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე დაზღვევის განხორციელება შეუძლებელია, თუმცა თუ დამზღვევის ქმედებით დგება ზიანი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას, ცალსახად საქმე გვაქვს პასუხისმგებლობის სამოქალაქოსამართლებრივ ფორმასთან და იგი თავისუფლად შეიძლება დაექვემდებაროს დაზღვევას.

პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებათა სახეების კლასიფიკაციის უმთავრეს კრიტერიუმად ზიანის სახეს განიხილავენ. ამ თვალსაზრისით კი ერთმანეთისგან განასხვავებენ სადაზღვევო შემთხვევაზე და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე დამყარებულ ხელშეკრულებებს. პირველ შემთხვევაში ანაზღაურდება სადაზღვევო პერიოდში სადაზღვევო რისკის რეალიზების შედეგად დამდგარი ზიანი, ხოლო მეორე შემთხვევაში - სადაზღვევო პერიოდში დამზღვევის მიმართ წაყენებული მოთხოვნები.<sup>124</sup> აღნიშნული წესით პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებათა კლასიფიკირების შემთხვევაში აღმოვაჩინოთ, რომ პრაქტიკაში უმეტესად საქმე გვაქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე დამყარებულ ხელშეკრულებასთან. ამ მოსაზრებას განამტკიცებს სსკ-ის 839-ე და 841-ე მუხლებს შორის წინააღმდეგობის არარსებობა (841-ე მუხლი ავსებს 839-ს, რომელიც, „სიტყვასიტყვითი განმარტების შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევაზე დაფუძნებული ხელშეკრულების შინაარსს მიესადაგება“<sup>125</sup>). შესაძლოა სსკ-ის 839-ე მუხლის თანახმად მზღვეველის მიერ ანაზღაურდება ის ვალდებულება, რომელიც დამზღვევს ეკისრება მესამე პირის წინაშე, ხოლო 841-ე მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობის დაზღვევა გარდა უშუალოდ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისა, ასევე მოიცავს სხვა სასამართლო და არასასამართლო ხარჯებს.

### 8.1. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი დგება მისი პროფესიული

<sup>123</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 91

<sup>124</sup> ირემაშვილი ე., მხარეთა უფლებრივი თანათვარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 51.

<sup>125</sup> იქვე, 120.

საქმიანობიდან გამომდინარე მესამე პირისათვის ზიანის მიყენების შედეგად. თანამედროვე სამყაროში არსებობს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო პროფესიები, რომელთა წარმომადგენლებიც მესამე პირთათვის ზიანის მიყენების მომეტებული რისკის წინაშე დგანან. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით აქტუალური ხდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა პროფესიული ნიშნით. „პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია კლიენტის ფულადი კომპენსირება, რაც წარმოადგენს ხშირ ჩანაცვლებას და შესაძლებლობას დელიქტურ (ზიანის) სამართალში.“<sup>126</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების შესაბამისად, პროფესიული პასუხისმგებლობა შეიძლება დააზღვიოს მხოლოდ ფიზიკურმა პირმა, რადგან იურიდიულ პირს არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე პროფესია.<sup>127</sup> თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, პროფესიულ პასუხისმგებლობაში მოგვეაზრებინა არა მხოლოდ კონკრეტულ სფეროში შესაბამისი განათლების მქონე ფიზიკურ პირთა, არამედ ასევე ამ სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა. კანონმდებლობა არ კრძალავს იურიდიული პირის მიერ საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას და მას სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში შეუზღუდავად შეუძლია დააზღვიოს თავისი საქმიანობის შედეგად მესამე პირების წინაშე დამდგარი ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

ვინაიდან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა მჭიდროდაა გადაჯაჭვული პირის მიერ უშუალოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან, რაც აგრეთვე გულისხმობს იმას, რომ დამზღვევი პროფესიულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს სათანადო უფლებამოსილების ფარგლებში, პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მკათოდ მიეთითოს დამზღვევის მიერ პროფესიული საქმიანობის შეჩერების პერიოდში ან მისი შეწყვეტის შემდგომ განხორციელებული ქმედებისთვის დამდგარი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ანაზღაურების შეუძლებლობის საკითხი.<sup>128</sup>

ამავე დროს, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს გამოიყენება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე დაფუძნებული პოლისი, რაც სადაზღვევო შემთხვევაზე დაფუძნებული პოლისისგან განსხვავებით გულისხმობს იმას, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს მესამე პირისათვის დამზღვევის ქმედებით მიყენებული ზიანის როგორც შედეგის სადაზღვევო

<sup>126</sup> ყანდაშვილი ი., ტურაბაშვილი გ., პროფესია ადვოკატი, GIZ, თბ., 2018, 38

<sup>127</sup> Петров, Страхование право 2000 г., ст. 72, ნაშრომიდან: გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002, 118-119.

<sup>128</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 122.

პერიოდშივე დადგომის ფაქტს.<sup>129</sup> პროფესიული საქმიანობის შედეგად მიყენებულმა ზიანმა შესაძლოა ზიანის გამომწვევი ქმედების განხორციელებიდან დროის გარკვეულ შუალედში იჩინოს თავი, აქედან გამომდინარე, პროფესიული პასუხისმგებლობის დამზღვევს შესაძლებლობა აქვს დააბლვიოს საკუთარი პასუხისმგებლობა იმგვარი ზიანისთვისაც, რომელიც მის მიერ დაზღვევის დაწყებამდე (რეტროაქტიული თარიღიდან) განხორციელებული ქმედების შედეგის სახით შესაძლოა დადგეს. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო პოლისში მიუთითებენ დამზღვევის ქმედება, რომლის საფუძველზეც მესამე პირს წარმოეშვა მოთხოვნა, რეტროაქტიულ თარიღს (თარიღს, რომლის შემდგომაც უნდა ანაზღაურდეს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი) და დაზღვევის დაწყების თარიღს.<sup>130</sup>

ქართულ სადაზღვევო პრაქტიკაში ძირითადად გავრცელებულია ექიმების, იურისტების, ნოტარიუსების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. დაზღვევის სამართალში დღეისათვის მოქმედი რეგულაციებით, სავალდებულო პროფესიულ დაზღვევას ექვემდებარება მხოლოდ ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობა.<sup>131</sup>

### 8.1.1. ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული სერვისია, საქართველოში კი, შეიძლება ითქვას, თვის ახლა იკიდებს.<sup>132</sup> ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც მისი არასწორი მოქმედების შედეგად ზიანი ადგება კლიენტის ინტერესებს, მართალია ეს ზიანი ადვოკატის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კლიენტის სიცოცხლეს ანდა ჯანმრთელობას არ ემუქრება, თუმცა ლახავს მის ქონებრივი ინტერესებს.<sup>133</sup> ასეთ დროს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით ადვოკატი თავიდან იცილებს ერთი მხრივ საკუთარ კლიენტთან დავის უსიამოვნო პროცესს, ხოლო მეორე მხრივ ზიანის ასანაზღაურებლად საჭირო თანხების გაღების ვალდებულებას. ამავე დროს, დაზარალებული კლიენტისთვის გარანტირებულია ზიანის სწრაფად და მარტივად ანაზღაურება.

<sup>129</sup> იქვე, 121.

<sup>130</sup> იქვე, 122, შემდგომი მითითებით: Jerry R., Richmond D., 507.

<sup>131</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის N58 ბრძანება ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

<sup>132</sup> ყანდაშვილი ი., ტურაბაშვილი გ., „პროფესია ადვოკატი“, GIZ, თბილისი, 2018, 40

<sup>133</sup> Kremer V., Einführung in die Berufshaftpflichtversicherung für Kammerberufe, 2015, 2

ხელმისაწვდომია:

<[https://www.deutscherueck.de/fileadmin/files/Berufshaftpflicht\\_fuer\\_Kammerberufe.pdf](https://www.deutscherueck.de/fileadmin/files/Berufshaftpflicht_fuer_Kammerberufe.pdf)>

[03.07.2019]

ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულოობის თაობაზე მითითებას შეიცავს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ „ადვოკატი ვალდებულია კლიენტისათვის შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, კანონით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა.“ აღნიშნული კანონი გარდამავალ დებულებებში უთითებს, რომ მე-9 მუხლი უნდა ამოქმედდეს მხოლოდ „ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონის მიღების შემდგომ. სწორედ იმის გამო, რომ ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობის სრულყოფილად მომწესრიგებელი დამოუკიდებელი აქტი უნდა მიღებულიყო<sup>134</sup>, ადვოკატთა შესახებ კანონი დღეისათვის არ განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც ადვოკატმა საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა უნდა დააზღვიოს და უთითებს მხოლოდ კლიენტისათვის შესაძლო მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაზე.

### 8.1.2. ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

„ნოტარიუსები ასრულებენ უაღრესად სასარგებლო როლს ნებისმიერ თანამედროვე სახელმწიფოში. თავისი სანოტარო საქმიანობით ისინი უზრუნველყოფენ გარიგებათა მუდმივ ხასიათს, არიან რა სპეციალისტები იურიდიულ საკითხებში, მხარეებს განუმარტავენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს; მათი მიუკერძოებლობა არის ხელშეკრულებათა დაბალანსების გარანტია. როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები, ანიჭებენ ავთენტურობასა და სააღსრულებო ძალას თავიანთ აქტებს“<sup>135</sup>. ნოტარიუსების მიერ საჯარო ხელისუფლების განხორციელება, სანოტარო ფორმით დამოწმებული აქტების იურიდიული ძალა და მათი საქმიანობის მიმართ საზოგადოების განსაკუთრებული ნდობა მათ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს შეასრულონ კანონით განსაზღვრული ყველა ქმედება იმგვარად, რომ ზიანი არ მიაღდეს სანოტარო მომსახურების მიმღებ ან სხვა მესამე პირებს.

დღეისათვის ნოტარიუსთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს<sup>136</sup>, თუმცა

<sup>134</sup> იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>135</sup> შვახტგენი ა. ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისათვის, 1, ხელმისაწვდომია:

<[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli\\_biblioteka/notariusis\\_saqmianoba\\_sazogadoebistvis.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/notariusis_saqmianoba_sazogadoebistvis.pdf)> [12.07.2019]

<sup>136</sup> მაგ. გერმანიაში ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო წესით ხორციელდება და მინიმალური სადაზღვევო თანხა შეადგენს 500 000 ევროს. იხ. Kremer



ყველა მათგანის კანონმდებლობით ნოტარიუსების პასუხისმგებლობა სავალდებულო წესით დაზღვევას არ ექვემდებარება. საქართველოში ნოტარიუსთა პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა, რაც განსაზღვრულია ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის N58 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, სავალდებულო წესით დაზღვევას ექვემდებარება ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა განხორციელების დროს პირისათვის მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ბრძანება 2.გ) პუნქტით ითვალისწინებს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის მზღვეველის მიერ ანაზღაურების ვალდებულებას დამზღვევის ბრალის ნებისმიერი ფორმით არსებობის შემთხვევაში, როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის დროს.

მნიშვნელოვანია, რომ „ნოტარიატის შესახებ“ 2009 წლის 4 დეკემბრის საქართველოს კანონში აწესებს ნოტარიუსის პასუხისმგებლობას ნოტარიუსის შემცველი პირის უკანონო მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს კანონმდებლის განსაკუთრებულ მიდგომაზე ნოტარიუსის საქმიანობის მიმართ.

### **8.1.3. სამედიცინო პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა**

სამედიცინო პერსონალის, განსაკუთრებით კი ექიმების პასუხისმგებლობის დაზღვევა მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოში მიღებული პრაქტიკაა. „საზოგადოება მეტად მგრძობიარეა ჯანდაცვის სისტემისა და სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების მიმართ და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და თანადგომას სწორედ ექიმისაგან ითხოვს“.<sup>137</sup> ექიმები საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებენ, თუმცა ამავე დროს ეს პროფესია მუდმივად დაკავშირებულია რისკთან, რომ ერთი მცირედი გადაცდომა და შესაძლოა ექიმი მნიშვნელოვანი იურიდიული და ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს, მითუფრო იმ პირობებში, როდესაც ამ

---

V., Einführung in die Berufshaftpflichtversicherung für Kammerberufe. ხელმისაწვდომია: [https://www.deutscherueck.de/fileadmin/files/Berufshaftpflicht\\_fuer\\_Kammerberufe.pdf](https://www.deutscherueck.de/fileadmin/files/Berufshaftpflicht_fuer_Kammerberufe.pdf) [03.07.2019]

<sup>137</sup> გიორგობიანი ხ., ყაზახაშვილი ნ., ფიცხელაური ნ., ლორია ლ., ჩიხლაძე ნ., ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში: ბარიერები და შესაძლებლობები, ჟურნ. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია N3, თბ., 2016, 1.



პროფესიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ შეტანილი ყოველი მეორე სარჩელი წარმატებულია<sup>138</sup>.

იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად გამოცდილი და პროფესიონალია ექიმი, შეუძლებელია წინასწარ გამოირიცხოს მის მიერ იმგვარი პროფესიული შეცდომის დაშვება, რომელიც მიუხედავად ექიმსა და პაციენტს შორის მოლაპარაკების გზით გადანყვეტის შესაძლებლობისა, არბიტრაჟის ან სასამართლოს დავის საგანი ხდება.<sup>139</sup>

სამედიცინო დანესებულების სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ფიზიკური პირის (პაციენტის) სამოქალაქო უფლების დარღვევა.<sup>140</sup>

საქართველოს კანონმდებლობა დღეისათვის არ ითვალისწინებს სამედიცინო პერსონალის, მათ შორის ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულობას. საექიმო საქმიანობის განხორციელების შესახებ საქართველოს კანონი შეიცავს მითითებას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ თავისი იმგვარი პროფესიული შეცდომის დაზღვევის უფლებამოსილების თაობაზე, რომლის შედეგადაც მესამე პირს ადგება ზიანი.<sup>141</sup> ბუნებრივია, კანონი არ უკრძალავს ექიმებს სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში დააზღვიონ თავიანთი პროფესიული პასუხისმგებლობა ნებაყოფლობითი დაზღვევის ფორმით<sup>142</sup>. ამავე დროს, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „სამედიცინო დანესებულებაში შეიძლება შეიქმნას ფონდი მცდარი სამედიცინო ქმედების გამო სამედიცინო პერსონალის მიმართ საჩივრის აღძვრის შემთხვევისათვის. ფონდი იქმნება სამედიცინო პერსონალის შენატანებისა და კანონმდებლობით ნებადართული სახსრებისაგან.“ შეიძლება ითქვას, რომ კანონში ამ ნორმის არსებობით კანონმდებელი აღიარებს „მცდარი სამედიცინო ქმედების“ განხორციელების ხშირ შესაძლებლობას და

<sup>138</sup> Berufshaftpflichtversicherung (Ärzte, Zahnärzte, Tierärzte), S.2. ხელმისაწვდომია: <[https://www.wbs-mainz.de/fileadmin/user\\_upload/dokumente/Geschaefskunden/G-Haftpflicht-Versicherung/Berufshaftpflicht\\_Aerzte.pdf](https://www.wbs-mainz.de/fileadmin/user_upload/dokumente/Geschaefskunden/G-Haftpflicht-Versicherung/Berufshaftpflicht_Aerzte.pdf)> [29.06.2019]

<sup>139</sup> Carrillo A.T., Medical liability insurances in Dentistry, 2017, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/2RYOJ3L>>, [25.06.2019]

<sup>140</sup> პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სალოქტორო ნაშრომი, თბ., 2016, 67

<sup>141</sup> იხ. საექიმო საქმიანობის განხორციელების შესახებ საქართველოს კანონის 97-ე მუხლი.

<sup>142</sup> ექიმის ან სამედიცინო პერსონალის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის საქართველოში პირველად სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგმა“ შემოიღო. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ამგვარი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა გააჩნია ნებისმიერ სხვა სადაზღვევო კომპანიასაც.

დაზარალებული პირის მიერ ზიანის სწრაფად და მოქნილად ანაზღაურების სისტემის არსებობის მიზანშეწონილობას.

## 8.2. ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

### 8.2.1. სატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობა. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპი

სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამიანის სიკვდილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის მოშლის, ანდა ნივთის დაზიანების გამო. ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტომობილის ექსპლუატაციისას ზიანი ადგება მესამე პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, წარმოიქმნება ავტომობილის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რის შედეგადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს უწევს მნიშვნელოვანი ხარჯის განკვეთა. სწორედ ამ ხარჯის დაფარვა წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საგანს.<sup>143</sup>

სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საკითხს. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს<sup>144</sup> და იგი ძირითადად დამახასიათებელია მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისთვის.<sup>145</sup> თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში სატრანსპორტო საშუალებები მომეტებული საფრთხის წყაროდ მიიჩნევა, ზიანი ყოველთვის ადამიანის ხელით არ ხდება და მისი წარმოშობა შესაძლებელია გამონვეული იყოს ისეთი ნივთებითაც, რომლებსაც ადამიანები ამოძრავებენ, ან რომელთა მოქმედებაც სპონტანურად ხდება.<sup>146</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით დაზღვევის სავალდებულობა შესაძლოა განპირობებული იყოს იმ „პატივსადები მიზეზით“, რომ ზიანი მიყენებულია ისეთი ობიექტით, რომელიც

<sup>143</sup> ცერცვაძე ა. ავტოდაზღვევის ძირითადი თავისებურებანი, უურნ. მეცნიერება და ცხოვრება, N1 [17], 2018, 13

<sup>144</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის უურნალი, N1, 2009, 107

<sup>145</sup> იქვე, 110

<sup>146</sup> წულაძე მ., მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის უურნალი, N1, 2015, 271

მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს და ამ თვისების გამო მისი მფლობელი მეტი რისკის მატარებელია.<sup>147</sup> იმავე მიდგომას იზიარებს ქართული საერთო სასამართლოების პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების კერძო შემთხვევაა და, მიუხედავად ბრალისა, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს.<sup>148</sup> მომეტებული საფრთხის წყაროს ცნებაში მოაიზრება ის ობიექტები, რომლებზეც მათი თვისებების გათვალისწინებით შეუძლებელია წინასწარი ზომების მიუხედავად სრული კონტროლის განხორციელება და ის საქმიანობები, რომლებიც გარშემომყოფთათვის განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის მათი განმხორციელებლების მიერ ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვისა და წინდახედულების გამოჩენის მიუხედავად.<sup>149</sup> ამგვარი მკაცრი პასუხისმგებლობის რეჟიმის შემოღება განპირობებულია ადამიანთა ბრალის გარეშე, თუმცა მაინც მათთან დაკავშირებული მიზეზით დამდგარი უბედური შემთხვევების მომრავლებითა და მათ შედეგად დაზარალებულ პირთა ინტერესების დაცვის აუცილებლობით.<sup>150</sup>

პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებიც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისთვის აგებენ პასუხს. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამგვარი ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზიანისთვის პასუხისმგებელ პირად ყოველთვის სატრანსპორტო საშუალების მფლობელი გვევლინება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მფლობელი უშუალოდ ზიანის მიმყენებელიც.<sup>151</sup> აღნიშნულ მოსაზრებას საფუძვლად უდევს სსკ-ის 999-ე მუხლის პირდაპირი მითითება პასუხისმგებლობის ერთადერთ სუბიექტად სატრანსპორტო საშუალების მფლობელის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი

<sup>147</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>148</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/4019-18, ხელმისაწვდომია: <http://temida.mylaw.ge/fullcase/1428/---.pbn>

<sup>149</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 107

<sup>150</sup> წულაძე მ., მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობის განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი, N1, 2015, 271

<sup>151</sup> ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი IV, ტომი II, 999-ე მუხლის კომენტარი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, 406

ზიანისათვის სატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, რომლის თანახმადაც, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, რომელიც იურიდიული სატუძვლით ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებაზე ფაქტობრივ ბატონობას. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას მფლობელის ნებართვის გარეშე იყენებს, ანუ წარმოგვიდგება არამართლზომიერი მფლობელის როლში, ამ დროს მის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება თავად ამ პირს და არა სატრანსპორტო საშუალების მართლზომიერ მფლობელს. ყველა სახვა შემთხვევაში ამგვარი ზიანისთვის პასუხს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი თავად აგებს.<sup>152</sup>

მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წესიდან არსებული გამონაკლისით, პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ზიანის მიმყენებელი თუ: ზიანის დადგომა გამონწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად ან თუ მოხდა მომეტებული საფრთხის წყაროთა ურთიერთქმედება (მაგ. ორი სატრანსპორტო საშუალების შეჯახება, თუმცა ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაზარალებულ მესამე პირთა წინაშე ძალაში რჩება და ორივე სატრანსპორტო საშუალების მფლობელს სოლიდარულად ეკისრება).<sup>153</sup>

მნიშვნელოვანია მზღვეველის მიერ დაზარალებული მესამე პირისთვის ანაზღაურების საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი დადგა მხოლოდ მესამე პირის განზრახვი ქმედებით. ასეთ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მზღვეველის ვალდებულების განსაზღვრამდე მნიშვნელოვანია განისაზღვროს თავად ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა. „ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულია, რომ, მზღვეველი არ აანაზღაურებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარ ისეთ ზიანს, რომელიც თავად დაზარალებული მესამე პირის განზრახვი ქმედებითაა გამონწვეული.<sup>154</sup> სამოქალაქო კოდექსი არაფერს ამბობს დაზარალებულის ბრალით ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს ზიანის მიმყენებლის

<sup>152</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება #ას-254-239-2010. ხელმისაწვდომია: < [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge) >

<sup>153</sup> ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი IV, ტომი II, 999-ე მუხლის კომენტარი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, 408.

<sup>154</sup> „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, ხელმისაწვდომია: < <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/211263> > [14.07.2019]

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე<sup>155</sup>, იმ პირობებში, რომ სატრანსპორტო საშუალებით, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს დაზღვევის ბრალის მიუხედავად. თუმცა უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს დაუძლეველ ძალას (ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი მოკლებულია შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვროს დაზარალებულის პირდაპირი განზრახვა და თავიდან აიცილოს ზიანის დადგომა). შესაბამისად, თუ უტყუარად დასტურდება დაზარალებულის პირდაპირი განზრახვა ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომის მიმართ, სსკ-ის 999-ე მუხლით სატრანსპორტო საშუალების მფლობელი უნდა გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან (აღნიშნულ მიდგომას იზიარებს ფრანგული სამოქალაქო სამართალი, რომლის მიხედვით, თუ ზიანის წარმოშობის ერთადერთი მიზეზი დაზარალებულის ბრალეული მოქმედებაა, სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება<sup>156</sup>), ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ზოგადი პრინციპიდან და მისი აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე - მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ანაზღაურების ვალდებულება ექნებოდა თავად ზიანის მიმყენებელს.<sup>157</sup>

## 8.2.2. სატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა

სატრანსპორტო საშუალებების, უფრო მეტად კი ავტო და მოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა დასავლეთის ქვეყნებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეებს შორის ყველაზე ფართოდაა გავრცელებული და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ სახელმწიფოთა უმრავლესობაში სავალდებულო ფორმით დაზღვევას ექვემდებარება,<sup>158</sup> ამასთან, როგორც წესი, ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობა ყოველთვის განსაზღვრავს მინიმალურ სადაზღვევო თანხას.<sup>159</sup> ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა,

<sup>155</sup> ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი IV, ტომი II, 999-ე მუხლის კომენტარი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, 409.

<sup>156</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 97.

<sup>157</sup> Hofmann E. Privat Versicherungsrecht, Verlag C.H.beck, 3. Auflage, 1998, S.225

<sup>158</sup> გვარამია ლ., ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი დახასიათება, ჟურნ. სამართალი, N2, 2002, 24.

<sup>159</sup> Brenner M., Die Einwirkungen des Europäischen Gemeinschaftsrechts auf das Versicherungsrecht, Shaker verlag, 2004, 48.

ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი, ხორვატია) მოქმედებს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა.<sup>160</sup> დაზღვევის ეს სახე სავალდებულოა ყველა იმ სახელმწიფოში, რომელშიც მოქმედებს ე.წ. „მწვანე ბარათის“ სისტემა.

ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა მიერ მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო ფორმას ითვალისწინებდა 1997 წელს მიღებული კანონი „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, რომელშიც კანონმდებელმა დასავლური სახელმწიფოების პრაქტიკა გაიზიარა. აღნიშნული კანონის თანახმად, სავალდებულო დაზღვევას ექვემდებარებოდა პასუხისმგებლობა დამზღვევის მფლობელობაში ან მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ავტომოტოტრანსპორტით მიყენებული ზიანისთვის, ხოლო ავტომოტოტრანსპორტის ცნება კი მოიცავდა ყველა სახეობის ავტო და მოტოსატრანსპორტო საშუალებას, რომლის ექსპლუატაციაც ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, დროებით გამოსაყენებლად შემოტანილის ჩათვლით.<sup>161</sup>

აღნიშნული კანონის შემოღებამ იმთავითვე წამოჭრა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, საკითხი იმის შესახებ, ხომ არ წაახლისებდა პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტი იმ მძღოლებს, რომლებიც ხშირად არღვევდნენ უსაფრთხოების ნორმებს და არ ემორჩილებოდნენ საგზაო მოძრაობის წესებს.<sup>162</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევა შეეხებოდა მხოლოდ კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში დელიქტის საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს, და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი პასუხისმგებლობის დაზღვევით არ თავისუფლდებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, შესაბამისად,

---

<sup>160</sup> იხ. განმარტებითი ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ (№07-2/303; 31.12.2018). ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)> [08.07.2019]

<sup>161</sup> იხ. „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის კანონის მე-2 მუხლი. (ძალადაკარგულია 2010 წლის 15 იანვრის კანონი №2535 - სსმ I, №5, 25.01.2010)

<sup>162</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.



საჯაროსამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული სანქციების პრევენციული ხასიათი საკმარისი იყო იმისათვის, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფაქტს სატრანსპორტო საშუალების მფლობელები არ წაეხალისებინა საგზაო წესების დარღვევაზე.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ზოგადი წესის შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველს უნდა ჰქონოდა ვალდებულება აენაზღაურებინა მესამე პირებისათვის ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა დამზღვევის მიერ დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას და მას ასევე უნდა მოეცვა დამზღვევის სასამართლო ხარჯების დატარვის ვალდებულებასაც.<sup>163</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის კანონის ხარვეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ იგი ითვალისწინებდა მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ მიყენებული იმ ზიანისთვის ანაზღაურებას, რომელიც მიადგებოდა მესამე პირთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ხოლო მათი ქონებისადმი მიყენებული ზიანის დაზღვევა სავალდებულო ხასიათს არ ატარებდა.<sup>164</sup> მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა იმის მიუხედავად, ერგებოდა თუ არა მას ანაზღაურება პირადი ან სოციალური დაზღვევით,<sup>165</sup> დაზარალებულის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიღმა დარჩენის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთი მიზანი, დაეცვა დამზღვევის ქონებრივი ინტერესები, სადაზღვევო შემთხვევათა უმეტესი ნაწილის დროს (რასაც შეადგენს მესამე პირთა ქონების დაზიანება) განუხორციელებელი რჩებოდა. მესამე პირის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი კანონში გათვალისწინებულ-იქნა მხოლოდ 1999 წლის ცვლილებებით. ამასთან, აღნიშნული კანონი აკონკრეტებდა პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტს და პირდაპირ მიუთითებდა, რომ ანაზღაურებას

<sup>163</sup> გვარამია ლ., ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი დახასიათება, ჟურნ. სამართალი, N2, 2002, 24.

<sup>164</sup> იქვე.

<sup>165</sup> ცისკაძე მ., ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1-2 კვ. 1999, 71



ექვემდებარებოდა მხოლოდ მატერიალური ზიანი<sup>166</sup>, რითაც გამოირიცხებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული მორალური ზიანის მზღვეველის მიერ ანაზღაურების შესაძლებლობა.<sup>167</sup>

ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონი ითვალისწინებდა მფლობელის მიერ თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულებას მის მფლობელობაში არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის, რაც გულისხმობდა თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე ხელშეკრულებების დადების აუცილებლობას.<sup>168</sup>

სატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულობისადმი საზოგადოების წევრთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს დავის საგნად იქცა საქართველოს მოქალაქეების – ირაკლი ბერიაშვილისა და ვიქტორ ინაშვილის საკონსტიტუციო სარჩელის შედეგად. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონით დაირღვა მისთვის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით აღიარებული საკუთრების უფლება, რაც გამოიხატებოდა სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ვალდებულებით, გადაეხადა მზღვეველის სასარგებლოდ განსაზღვრული ოდენობის სადაზღვევო პრემია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საკუთრების უფლების შეზღუდვას, ვინაიდან დამზღვევის ვალდებულება პრემიის გადახდის თაობაზე, არ რჩება შემხვედრი ვალდებულების გარეშე და ხშირ შემთხვევაში იცავს დამზღვევის ქონებრივ ინტერესებსაც.<sup>169</sup>

„ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ექვსჯერ შევიდა ცვლილება, ხოლო 2010 წლის კანონით იგი ძალადაკარგულად

<sup>166</sup> „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი (მიღების თარიღი: 27/06/1997).

<sup>167</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, 839-ე მუხლის კომენტარი, გვ.2, ხელმისაწვდომია <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> [10.07.2019]

<sup>168</sup> გვარამია ლ., ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი დახასიათება, ჟურნ. სამართალი, N2, 2002, 25.

<sup>169</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

იქნა ცნობილი.<sup>170</sup> თუმცა სამეცნიერო წრეებში სავალდებულო დაზღვევის ამ სახის კვლავ შემოღების საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს. აღნიშნული ინსტიტუტის სრული უგულებელყოფა ვერც საკანონმდებლო დონეზე მოხერხდა და დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 15 დეკემბრის კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“. ეს კანონი ვრცელდება როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილდებიან სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტომანქანით. კანონის მე-18 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობას.

### **8.2.3. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის შესახებ**

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ საქართველოსთვის სავალდებულო ძალა შეიძინა ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედმა დირექტივამ 2009/103/EC - ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ.<sup>171</sup> შესაბამისად, საჭირო გახდა საკითხის მარეგულირებელი აქტების მომზადება და დანერგვა. საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ავტორობით მომზადდა კანონპროექტი „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ.“<sup>172</sup>

<sup>170</sup> იხ. „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ საქართველოს 2010 წლის კანონი.

<sup>171</sup> Directive 2009/103/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 relating to insurance against civil liability in respect of the use of motor vehicles, and the enforcement of the obligation to insure against such liability (Text with EEA relevance) ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex:32009L0103>> [20.06.2019]

<sup>172</sup> იხ. განმარტებითი ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ (№07-2/303; 31.12.2018). ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)> [08.07.2019]

ევროკავშირის 2009/103/EC დირექტივა სავალდებულო წესით დასაზღვევ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში გულისხმობს ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც გამიზნულია ხმელეთზე გადაადგილებისთვის და რომელიც მოძრაობაში მოდის მექანიკური ენერჯის მეშვეობით, მაგრამ არ მოძრაობს რელსებზე და არ გულისხმობს მისაბმელს, მიუხედავად იმისა, მიბმულია ის თუ არა.<sup>173</sup>

დირექტივის ფარგლებში მომზადებული სავალდებულო დაზღვევის კანონის პროექტი განსაზღვრავს იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანისთვის დამდგარი პასუხისმგებლობაც ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას და ასეთებად მიიჩნევს მექანიკურ (ძრავიან ანდა ელექტროძრავიან) სატრანსპორტო საშუალებას ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებულ კომბინაციას (მათ შორის, ნებისმიერი სახის ტრაქტორს, თვითმავალ მანქანას, მისაბმელს), რომელიც განკუთვნილია ხმელეთზე გადაადგილებისათვის, გარდა სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებისა.<sup>174</sup> მაშასადამე, კანონპროექტი დირექტივის მიდგომას კიდევ უფრო ამკაცრებს, რაც განპირობებულია სადაზღვევო შემთხვევების დადგომის დროს მესამე პირისათვის ზიანის ანაზღაურების სისტემის უფრო მეტი მოქნილობისთვის.

კანონპროექტით გათვალისწინებულია საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და (განსხვავებით წინამორბედი კანონისა) ქონებისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანისთვის. იგი არ ითვალისწინებს პირველი პირის, ანუ სატრანსპორტო საშუალების მფლობელისთვის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული საკუთარი სატრანსპორტო საშუალების შეკეთების ხარჯებს, თუმცა შესაძლებელია გაფორმდეს დამატებითი დაზღვევა ე.წ. პირველი პირისადმი (first party liability), რომელის საფუძველზეც ანაზღაურდება დამატებითი რისკები: მაგალითად, მძღოლის მიმართ მიყენებულ ზიანს, ავტომობილის რემონტის ხარჯებს და ა.შ.<sup>175</sup>

<sup>173</sup> Directive 2009/103/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 relating to insurance against civil liability in respect of the use of motor vehicles, and the enforcement of the obligation to insure against such liability (Text with EEA relevance) ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex:32009L0103>> [20.06.19]

<sup>174</sup> კანონპროექტი „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ ხელმისაწვდომია: <http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komiteti/axali-ambebi-dargobrivi/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komitetis-sxdoma25032019.page>

<sup>175</sup> იხ. განმარტებითი ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ინსტიტუტისთვის დამახასიათებელია მზღვეველის ვალდებულება დამზღვევის ბრალეულობის მიუხედავად ანაზღაუროს მესამე პირის წინაშე დამდგარი ზიანი. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, თუ რამდენად ეკისრება მზღვეველს ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი დადგა თავად დაზარალებული მესამე პირის განზრახი ქმედებით (მაგ. თვითმკვლელობის მცდელობის დროს პირმა განზრახ გადაუჭრა გზა ავტოსატრანსპორტო საშუალებას). ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი ასეთ შემთხვევას პირდაპირ აკუთვნებს იმ ზიანის კატეგორიას, რომელიც აღნიშნული წესით დაზღვევას არ ექვემდებარება.<sup>176</sup>

კანონპროექტით რეგულირებულ საკითხთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთათვის დაზღვევის ბონუს-მალუს სისტემის ამოქმედება, რაც გულისხმობს დაზღვეული პირის სატრანსპორტო შემთხვევებიდან გამომდინარე პირადი სტატისტიკის საფუძველზე წლიური სადაზღვევო პრემიის ზრდას ან შემცირებას.<sup>177</sup>

### 8.3. ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზღვევის ხელშეკრულებათა კლასიფიკაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი მიზნის განსაზღვრას. ზოგ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა პირდაპირ ემსახურება დამზღვევის ქონებრივი ინტერესების დაცვას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დამზღვევის ქონებრივი ინტერესებზე წინ მესამე პირთა ქონებრივი ინტერესები დგება. მიზნის მიუხედავად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თითოეულ ხელშეკრულებას გარკვეული თავისებურება ახასიათებს.<sup>178</sup> გამონაკლისი არც ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაა, რომელსაც ქართულ იურიდიულ

---

სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ (№07-2/303; 31.12.2018). ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)> [08.07.2019]

<sup>176</sup> კანონპროექტი „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ ხელმისაწვდომია: <http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komiteti/axali-ambebi-dargobrivi/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komitetis-sxdoma25032019.page>

<sup>177</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, (№07-2/303; 31.12.2018). ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)> [08.07.2019]

<sup>178</sup> ირემამვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 44.

ლიტერატურაში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობასთან ერთად სამოქალაქო პასუხისმგებლობის სახეების კლასიფიკაციისას გამოყოფენ.<sup>179</sup>

ფართო გაგებით, ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მოიცავს ყველა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევას, გარდა პროფესიული და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობისა, ხოლო ვიწრო გაგებით, მასში შეიძლება მოიაზრებოდეს პასუხისმგებლობის დაზღვევის იმგვარი სახეები, რომელთან კანონმდებელი ცალკე აქტების მეშვეობით არ არეგულირებს და რომელთა თაობაზეც პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების დადება ხდება მხარეთა ნების ავტონომიის საფუძველზე.

ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობა თავის თავში მოიაზრებს როგორც დელიქტის, ისე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანისთვის ზიანის მიმყენებლის მიმართ გასატარებელ სანქციებს. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა თავისი არსიდან გამომდინარე, შეიძლება დადგეს მხოლოდ ამა თუ იმ ხელშეკრულების მხარისათვის, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, ხოლო არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დროს სანქცია გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის დაზარალებულ მესამე პირთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და თავისი ქმედებით (დელიქტით) აყენებს მას ზიანს.<sup>180</sup>

ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა შეიძლება დაიდოს დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის, გადამზიდველთა პასუხისმგებლობის დაზღვევის, მენეჯერთა პასუხისმგებლობის დაზღვევის, სასტუმროს მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევის, მწარმოებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის და სხვა ნებისმიერი სახით მესამე პირთათვის ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობისათვის.<sup>181</sup> ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე ინჟინერთა საერთაშორისო საკონსულტაციო ფედერაციის (FIDIC) მიერ განსაზღვრული მშენებლობის ხელშეკრულების პირობებში აუცილებლად გასათვალისწინებელი კონტრაქტორის (პირის, რომელიც დამკვეთის მითითებით ახორციელებს სამშენებლო საქმიანობას) მიერ დაქირავებული ნებისმიერი პირის ან კონტრაქტორის ნებისმიერი სხვა პერსონალის სხეულის დაზიანების, ავადმყოფობის, დაავადების ან გარდაცვალების გამო

<sup>179</sup> გვარამია ლ., „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2002, 110-111.

<sup>180</sup> იქვე. 80

<sup>181</sup> წულაძე ი., ყურბუბაძე ც., დაზღვევის ზოგადი საფუძვლები და მათი სამართლებრივი რეგულირება, ბათუმი, 2011.



მოთხოვნებისთვის, ზიანისთვის, დანაკარგისთვის, ხარჯებისთვის (მათ შორის, სასამართლო და სასამართლოს გარეშე იურიდიული საზღაურის და ხარჯებისთვის) წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>182</sup>

ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის კონკრეტულ სახეებს არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული მახასიათებლები და მათზე ვრცელდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის სსკ-ის 839-843 მუხლებით დადგენილი რეგულაციები, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის (ბრალეულ თუ ბრალის გარეშე) პასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე.

## 9. სახელმწიფოს როლი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში

დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობა, ისევე როგორც ზოგადად სამოქალაქო სამართალი, მის მონაწილეთა დამოუკიდებლობასა და თანასწორობას ემყარება, თუმცა სამოქალაქო სამართლის რეგულირების მეთოდი ერთმანეთთან ათანაბრებს სოციალური, ეკონომიკური თუ იურიდიული თავლსაზრისით სუსტ და ძლიერ მხარეებს.<sup>183</sup> აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გარკვეული ტიპის ჩარევა კერძოსამართლებრივი ინსტიტუტებისთვისაც კი შესაძლოა ხშირად გამართლებული იყოს.

მართალია, სახელმწიფო დაზღვევის უშუალო სუბიექტი არ არის, თუმცა მას თავისი განსაზღვრული და მეტად მნიშვნელოვანი როლი აქვს სადაზღვევო ურთიერთობებში. იგი, როგორც სადაზღვევო სამართალურთიერთობების მონაწილე, კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით გამოსცემს სადაზღვევო სამართლის მარეგულირებელ აქტებს, ახორციელებს ზედამხედველობას სადაზღვევო საქმიანობასა და მზღვეველების ლიცენზირებაზე.<sup>184</sup> სახელმწიფოსა და სოციალური ინსტიტუტების საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, ფართო გაგებით, სოციალურ დაცვაში მოიაზრება.<sup>185</sup> დაზღვევის სოციალური ბუნება განაპირობებს სახელმწიფოს, როგორც სოციალური ზრუნვის

---

<sup>182</sup> FIDIC, “conditions of contract for plant and design-build” first edition 1990, ISBN-2-88432-023-7 ხელმისაწვდომია: <<https://example30164.files.wordpress.com/2016/04/fidic-db-yellow-book.pdf>> [28.06.2019]

<sup>183</sup> თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, 12.

<sup>184</sup> ქეცბაია ე. სადაზღვევო სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, ურნ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43), თბ., 2014, 86

<sup>185</sup> მელიანი-ფუტკარაძე ლ., სოციალური დაზღვევის როლი მოსახლეობის სოციალური რისკებისაგან დაცვაში, ბათუმი, 2013, 25

განმახორციელებელი უმთავრესი ორგანოს როლს სადაზღვევო სფეროს განვითარებაში.

დაზღვევის საჯაროსამართლებრივი რეგულირების ხარისხს მეტწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, რაც შესაძლებელია გამოიხატოს ერთი მხრივ, დაზღვევის როგორც სუსტი მხარის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებით, ხოლო მეორე მხრივ, სადაზღვევო კომპანიების ეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფით<sup>186</sup>. მიიჩნევა, რომ სადაზღვევო ინდუსტრიის მომავალი საქმიანობა, ძირითადად, დამოკიდებულია სადაზღვევო რეგულირების სათანადოდ განვითარებაზე.<sup>187</sup>

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი და მხარეთა ნების ავტონომიაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ერთი შეხედვით, მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს ეხება და სახელმწიფოს ჩარევა ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, აუცილებლობას არ წარმოადგენდეს. განსხვავებულად წყდება საკითხი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში. აქ საქმე ეხება სტაბილური და მონესრიგებული სამოქალაქო ურთიერთობის ჩამოყალიბებას<sup>188</sup>, რაც სახელმწიფოს მაკონტროლებელი მექანიზმების გამოყენების გარეშე, მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მხარეთა კეთილსინდისიერების ხარჯზე ხშირად შეუძლებელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ზოგადად დაზღვევის საჯაროსამართლებრივი რეგულირება უფრო მეტად ორიენტირებულია დაზღვევის ინტერესების დაცვაზე,<sup>189</sup> ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში ძირითადი აქცენტი დაზარალებული მესამე პირების, როგორც სუსტი მხარის დაცვაზე კეთდება, რაც განსაკუთრებით ვლინდება პასუხისმგებლობის დაზღვევის ამა თუ იმ სახისთვის

<sup>186</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 18.

<sup>187</sup> Regulierung und Versicherungswirtschaft: Chancen und Herausforderungen aus ökonomischer Perspektive, Volkswirtschaftliche Themen und Analysen Nr. 7, GDV, S.3. ხელმისაწვდომია: <<https://www.gdv.de/resource/blob/9308/57a39eeeb369416223979c92afb2c959/volkswirtschaftliche-themen-und-analysen-nr--7---pdf-data.pdf>> [13.07.2019]

<sup>188</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>189</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 20



სავალდებულო ფორმის შემოღების დროს.<sup>190</sup> სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შემოღებით ასრულებს საკუთარ ვალდებულებას დაიცვას თავისი მოქალაქეების ინტერესები, შექმნას სტაბილური გარემო და თავიდან ააცილოს მათ ზიანის ანაზღაურების დროს წარმოშობილი სირთულეები, ხოლო, დაზღვევის ამ სახისთვის ბონუს-მალუს სისტემის შემოღებით, წაახალისოს პოტენციური სამართალდამრღვევები მეტი ყურადღებით მოეკიდონ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას და მაქსიმალურად აკონტროლონ მოსალოდნელი დელიქტის შემთხვევაში მათი გავლენის სფეროში არსებული რისკები.

## **10. პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღების მიზანშეწონილობის განსაზღვრა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დირექტივის შესაბამისად**

ქართული სამოქალაქო სამართალი მთელი თავისი განვითარების ისტორიის მანძილზე მიისწრაფვოდა ევროპული სამართლის ძირითად პრინციპებთან დაახლოებისა და მათი ჰარმონიულად შეთვისებისკენ.<sup>191</sup> ეს სწრაფვა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა საქართველოს მიერ ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ გეზის აღების შემდგომ. საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“<sup>192</sup> ხელშეკრულება წარმოადგენს.

ასოცირების ხელშეკრულებით, დაზღვევა საფინანსო სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად არის განსაზღვრული. აღნიშნულ შეთანხმებაში მითითებული დირექტივების ნაწილი ემსახურება ქართული სადაზღვევო სამართლის ჰარმონიზაციას ევროპულ სადაზღვევო სამართალთან, რაც, თავის მხრივ აუცილებელია დაზღვევის სფეროში არსებულ ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებისათვის. ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ დირექტივათაგან დაზღვევის სფეროს მოწესრიგებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია 2009 წლის 16 სექტემბრის 2009/103/EC დირექტივა, რომელიც გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის

<sup>190</sup> Müller A., Regress im Schadensausgleichsrecht unter besonderer Berücksichtigung des Privatversicherers, Dissertation, D-Druck-Spescha, 2006, 42.

<sup>191</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 5-6;

<sup>192</sup> „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016275, გამოქვეყნების თარიღი 11/09/2014.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო წესით დაზღვევის სტანდარტების შემუშავებასა და ამოქმედებას. საავტომობილო დაზღვევასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა განისაზღვრება ხუთი დირექტივით (72/166/EEC, 84/5/EEC, 90/232/EEC, 2000/26/EC და 2009/103/EC), მათგან ერთ-ერთი (2009/103/EC) კი ითვალისწინებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას.<sup>193</sup>

ევროკავშირის 2009/103/EC დირექტივის ერთ-ერთი მიზანს საქართველოს „მწვანე ბარათის“ სისტემისთვის შეერთებაც წარმოადგენს.<sup>194</sup> „მწვანე ბარათი“ ავტომფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთაშორისო სისტემას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს „სატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებას [სატრანსპორტო საშუალების] რეგისტრაციის ქვეყნის გარეთ, ასევე შეთანხმება წევრი სახელმწიფოების მიერ სადაზღვევო პოლისის ცნობასთან დაკავშირებით.“<sup>195</sup> მისი მიზანია ავტოსატრანსპორტო საშუალებების მემფლობით პირთა და ტვირთის თავისუფალი გადაადგილება და ამისათვის დაბრკოლებების შემცირება.<sup>196</sup> „მწვანე ბარათის“ სისტემა ორ უმთავრეს პრინციპზეა დაფუძნებული: ერთი მხრივ, ავტო-სატრანსპორტო შემთხვევის (ავარიის) დროს, არცერთი მონაწილე მხარე არ უნდა დაზარალებს ზედმეტად იმის გამო, რომ ბრალი ამ ავარიისას უცხოელს მიუძღვის და მეორე მხრივ, არცერთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გადაკვეთს სახელმწიფო საზღვარს, არ უნდა იყოს დაკავებული იმის გამო, რომ მფლობელი ვალდებულია შეასრულოს იმ ქვეყნის სადაზღვევო წესები, რომელშიც ის გადაადგილდებოდა.<sup>197</sup>

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული დირექტივის მიზანი არ არის მხოლოდ „მწვანე ბარათის“ სისტემაში განწევრიანება, იგი უფრო დირექტივის შესრულების თანმდევი შედეგია, ხოლო მისი ძირითად მიზანს წარმოადგენს დაზღვევის სფეროს რეფორმირების შედეგად საზოგადოებისთვის ძლიერი

---

<sup>193</sup> Tomeski B., Development of Motor Third Party Liability Insurance Market in Terms of Changing Regulation, 2012, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2xBRdvy> > [07.07.2019]

<sup>194</sup> საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის საინფორმაციო ფურცელი. ხელმისაწვდომია: [www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/70764/avtomobilis-dazRveva](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/70764/avtomobilis-dazRveva) [09.07.2019]

<sup>195</sup> იქვე

<sup>196</sup> Schmidt p., Die Europäisierung des Versicherungsrechts unter besonderer Berücksichtigung der Grundfreiheiten im Binnenmarkt, Dissertation, Dresden, 2005, S.12,

<sup>197</sup> საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის საინფორმაციო ფურცელი. ხელმისაწვდომია: [www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/70764/avtomobilis-dazRveva](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/70764/avtomobilis-dazRveva) [09.07.2019]

ალტერნატიული გარანტიებისა და სოციალური უზრუნველყოფის მოქნილი სისტემის შემოღება.<sup>198</sup>

## დასკვნა

საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, დღითიდღე იზრდება სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მიერ სახელმწიფოებო ვალდებულებების დარღვევით ანდა დელიქტით სხვა პირებისთვის მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. პასუხისმგებლობის სამართალი კერძო სამართლის განუყოფელი ნაწილია და იგი ემსახურება ურთიერთობის მონაწილეთა შორის მათივე ქმედებით დარღვეული სტაბილურობის აღდგენას. ყველა პირი, რომელიც ზიანს მიაყენებს სხვას, ვალდებულია პასუხის აგოს საკუთარ ქმედებებზე, თუმცა ხშირად ეს რთულია ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის ან მისი მხრიდან პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების მცდელობის გამო.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ქმნის კერძო სამართლის სუბიექტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ალტერნატიულ სოციალურ-ეკონომიკურ მექანიზმს და ამარტივებს ურთიერთობის მონაწილეთათვის ზიანის დადგომამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სსკ-ის მიხედვით ზიანის დაზღვევის კერძო სახეს წარმოადგენს, თუმცა მას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს. მართალია, სსკ-ის სისტემაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დღეისათვის არსებული სახით მონესრიგება პრაქტიკაში სირთულეს არ წარმოშობს, თუმცა კოდექსის სტრუქტურული სრულყოფისათვის, მიზანშეწონილი იქნებოდა, მისი ცალკე თავად მონესრიგება.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს შეიძლება დაზღვეულ იქნეს მხოლოდ დამზღვევის და არა სხვა პირის პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში, სადაზღვევო რისკის რეალიზაცია უმეტესად დამზღვევის გავლენის სფეროშია მოქცეული, დაზღვევის ობიექტს კი ამ რისკის რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი პასუხისმგებლობა წარმოადგენს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს ანაზღაურებას ექვემდებარება დამზღვევის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანიც, რაც დაზარალებული მესამე

---

<sup>198</sup> განმარტებითი ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ (№07-2/303; 31.12.2018). ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)> [08.07.2019]

პირების ინტერესთა დაცვის უპირატესობითაა ნაკარნახევი. დამზღვევის ინტერესებთან ერთად სწორედ მესამე პირის ინტერესებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოარჩევს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას დაზღვევის სხვა სახეებისგან.

დაზღვევის ამ სახის გამოყენებით დაცულია როგორც დამზღვევის ქონებრივი ინტერესი, (რათა უზრუნველყოფილი იყოს მის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ისე, რომ გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა არ მოუწიოს რეგრესის წესით მზღვეველისათვის ანაზღაურების გადახდა), ისე დაზარალებული მესამე პირების ინტერესები სწრაფად და მარტივად მიიღონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო ფორმით. იგი იცავს სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებს და ამავე დროს გვევლინება სუსტი მხარის ინტერესის დაცვის საჯაროსამართლებრივ ბერკეტად. სავალდებულო დაზღვევის მარეგულირებელი აქტები დამზღვევს ავალდებულებს დადოს ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასთან და სადაზღვევო პრემიის გადახდის სახით გასწიოს ხარჯი განსაზღვრული პერიოდულობით. ამგვარად იგი ზღუდავს დამზღვევის სახელშეკრულებო თავისუფლებას, თუმცა ნების ავტონომიის ამგვარი შეზღუდვა სრულიად გამართლებულია საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობით, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს უმთავრეს სოციალურ როლს მოქალაქეთა უფლებების თანაბრად დაცვაში.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სახეებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევა. აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო რეგულირებების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება ევროკავშირში საქართველოს განწევრიანებისკენ ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. ამავე დროს სახელმწიფო ამ სახის დაზღვევის შემოღებით ასრულებს საკუთარ ვალდებულებას დაიცვას თავისი მოქალაქეების ინტერესები და თავიდან ააცილოს მათ ზიანის ანაზღაურების დროს წარმოშობილი სირთულეები. ხოლო, დაზღვევის ამ სახისთვის ბონუს-მალუს სისტემის შემოღებით, წაახალისოს პოტენციური სამართალდამრღვევები მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდონ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს მათი გავლენის სფეროში არსებული რისკის პრევენციას.

გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევისა, მნიშვნელოვანია ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევაც. თანამედროვე სამყაროში არსებობს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო პროფესიები, რომელთა წარმომადგენლებიც მესამე პირთათვის ზიანის

მიყენების მომეტებული რისკის წინაშე დგანან, შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც მესამე პირებს ზიანი ადგებათ ზიანის მიმყენებლის პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამედიცინო პერსონალის, ადვოკატების, ნოტარიუსების და სხვათა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. დღეისათვის საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებით გათვალისწინებულია პროფესიული პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი სახის, ნოტარიუსთა პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო ფორმის შემოღება ექიმების, ადვოკატების, ინჟინრების და სხვა იმგვარი პროფესიის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მესამე პირთათვის ზიანის მიყენების მომეტებული რისკის მატარებლები არიან.

ასევე, სასურველია, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის საკითხი სხვა ისეთ სფეროებში, რომლების საზოგადოების წევრებისათვის ზიანის მიყენების მაღალ რისკს ატარებენ. ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის სრულყოფისას გაზიარებულ იქნეს ევროპის განვითარებული სახელმწიფოების საუკეთესო გამოცდილება. ამგვარად, ქართული კანონმდებლობა კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპულ სამართალს, რომელიც მაქსიმალურადაა ორიენტირებული მოქალაქეთა უფლებების დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნებაზე.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულ ენაზე:

1. გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2002.
2. გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნება და მნიშვნელობა, ურნ. სამართალი, N6,7, 1999.
3. გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ურნალი სამართალი N10,11,12, 2000.
4. გვარამია ლ., ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი დახასიათება, ურნალი სამართალი, N2, 2002.
5. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, გამომც. „სამართალი“ თბ., 2001.
6. ცისკაძე მ., ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, ურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 1-2 კვ. 1999.
7. ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომც. „მერიდიანი“ თბ., 2001.
8. ვერულავა თ., დაზღვევის ისტორია, თბ., 2003.
9. ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, მეორე გამოცემა, თბ., 2009.
10. ბონარი უ., სადაზღვევო სამართლის საწყისები, ნ. კინწურაშვილის თარგმანი, თბ, 2003.
11. ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანათვარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016.
12. ირემაშვილი ქ., ჯანმრთელობის დაზღვევა, როგორც დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, შრომის სამართალი I (სტატიათა კრებული), 2011.

13. გიორგობიანი ხ., ყაზახაშვილი ნ., ფიცხელაური ნ., ლორია ლ., ჩიხლაძე ნ., ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში: ბარიერები და შესაძლებლობები, უერნ. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია N3, თბ., 2016.
14. მონონელიძე ნ., სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2015.
15. კაპანაძე თ., სადაზღვევო ურთიერთობის ალტერნატიული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, უერნალი ახალგაზრდა ადვოკატები N6, თბ., 2016.
16. ქეცბაია ე., სადაზღვევო სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, უერნალი მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 2014.
17. ამირანაშვილი გ., სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი უერნალი, 2011.
18. ცერცვაძე ა. ავტოდაზღვევის ძირითადი თავისებურებანი, უერნალი მეცნიერება და ცხოვრება, 2018.
19. მელიოიანი-ფუტკარაძე ლ., სოციალური დაზღვევის როლი მოსახლეობის სოციალური რისკებისაგან დაცვაში, ბათუმი, 2013.
20. პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადოქტორო ნაშრომი, თბ., 2016.
21. ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის უერნალი N1, 2009.
22. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999.
23. ზოიძე ბ., ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის., თბ., 1989.
24. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005.
25. ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010.
26. ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის უერნალი, #1, 2009.
27. სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, რედ. გ. ჯუღელი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2014.
28. ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2006.



29. ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998.
30. ყანდაშვილი ი., ტურაზაშვილი გ., პროფესია ადვოკატი, GIZ, თბ., 2018.
31. წულაძე მ., მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი, N1, 2015.
32. წულაძე ი., ყურშუბაძე ც., „დაზღვევის ზოგადი საფუძვლები და მათი სამართლებრივი რეგულირება“, ბათუმი, 2011.
33. თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012.
34. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, შეადგინა ფრიდონ საყვარელიძემ ; რედ.: ანა ჭაბაშვილი] - თბ. : დასი, 1999.

#### უცხოურ ენაზე:

1. Brenner M., Die Einwirkungen des Europäischen Gemeinschaftsrechts auf das Versicherungsrecht, Shaker verlag, 2004.
2. Hofmann E. Privat Versicherungsrecht, Verlag C.H.beck, 3. Auflage, 1998.
3. Müller A., Regress im Schadensausgleichsrecht unter besonderer Berücksichtigung des Privatversicherers, Disertation, D-Druck-Spescha, 2006.
4. Schmidt p., Die Europäisierung des Versicherungsrechts unter besonderer Berücksichtigung der Grundfreiheiten im Binnenmarkt, Dissertation, Dresden, 2005.
5. Jerry R., Richmond D., Understanding Insurance Law, Fourth Edition, LexisNexis, 2007.
6. Lowry J., Rawlings P., Insurance law, Cases and materials, Oxford – Portland Oregon, 2004.
7. Clarke M., Policies and perceptions of Influence Law in the Twenty-First Century, Oxford University Press, 2007.

#### სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის #ას-663-624-2011 განჩინება
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის ას-134-134-2018 განჩინება.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება #ას-254-239-2010
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის Nას-4-381-05 გადაწყვეტილება.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 27 დეკემბრის N3კ/726 განჩინება
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ნოემბრის №2ბ/4019-18 გადაწყვეტილება

#### ელექტრონული რესურსები:

1. სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები, ხელმისაწვდომია: <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)>. [10.07.2019]
2. „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/211263?>> [14.07.2019]
3. განმარტებითი ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ (№07-2/303; 31.12.2018). ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)> [08.07.2019].
4. საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის საინფორმაციო ფურცელი, ხელმისაწვდომია: <[www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/70764/avtomobilis-dazRveva](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/70764/avtomobilis-dazRveva)>, [09.07.2019]
5. შვახტგენი ა. „ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისათვის“ გვ: 1, ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli\\_biblioteka/notariuis\\_saqmianoba\\_sazogadoebistvis.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/notariuis_saqmianoba_sazogadoebistvis.pdf)> [12.07.2019]

6. Beier L., Die PrivatHaftpflchtversicherung: „Pflicht“ oder „Freiwilligkeit“? 2014, ხელმისაწვდომია: <[https://monami.hs-mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA\\_18.07.2014.pdf](https://monami.hs-mittweida.de/frontdoor/deliver/index/docId/5078/file/BA_18.07.2014.pdf) > [01.07.2019]
7. Rieck c., Haftpflichtversicherung, S 4., ხელმისაწვდომია: <<https://ha159.domainkunden.de/VMV/Info/Haftpflicht-Info.pdf> > [03.07.2019]
8. Kremer V., Einführung in die Berufshaftpflichtversicherung für Kammerberufe“, ხელმისაწვდომია: <[https://www.deutscherueck.de/fileadmin/files/Berufshaftpflicht\\_fuer\\_Kammerberufe.pdf](https://www.deutscherueck.de/fileadmin/files/Berufshaftpflicht_fuer_Kammerberufe.pdf) > [03.07.2019]
9. Berufshaftpflichtversicherung (Ärzte, Zahnärzte, Tierärzte), ხელმისაწვდომია: <[https://www.wbs-mainz.de/fileadmin/user\\_upload/dokumente/Geschaeftskunden/G-Haftpflicht-Versicherung/Berufshaftpflicht\\_Aerzte.pdf](https://www.wbs-mainz.de/fileadmin/user_upload/dokumente/Geschaeftskunden/G-Haftpflicht-Versicherung/Berufshaftpflicht_Aerzte.pdf) > [29.06.2019]
10. Tomeski B., Development of Motor Third Party Liability Insurance Market in Terms of Changing Regulation, 2012, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/2xBRdvy> > [07.07.2019]
11. Carrillo A.T., Medical liability insurances in Dentistry, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/2RYOJ3L>> [25.06.2019]
12. Köbler, Juristisches Wörterbuch 2004/14 გვ.240. ხელმისაწვდომია: <<http://www.agmiw.org/wp-content/uploads/2016/05/K%C3%B6bler-Juristisches-W%C3%B6rterbuch-.Auflage.pdf> > [30.06.2019]
13. FIDIC, “conditions of contract for plant and design-build” first edition 1990, ISBN-2-88432-023-7 ხელმისაწვდომია: <<https://example30164.files.wordpress.com/2016/04/fidic-db-yellow-book.pdf> > [28.06.2019]
14. Regulierung und Versicherungswirtschaft: Chancen und Herausforderungen aus ökonomischer Perspektive,“ GDV, ხელმისაწვდომია: <<https://www.gdv.de/resource/blob/9308/57a39eeeb369416223979c92afb2c959/volkswirtschaftliche-themen-und-analysen-nr--7---pdf-data.pdf> > [13.07.2019]
15. Directive 2009/103/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 relating to insurance against civil liability in respect of the use

of motor vehicles, and the enforcement of the obligation to insure against such liability (Text with EEA relevance) ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex:32009L0103>> [20.06.2019]